

თბილისის
 ვანო
 სარაჯიშვილის
 სახელობის
 სახელმწიფო
 კონსერვატორიის
 ტრადიციული
 მრავალხმიანობის
 კვლევის
 საერთაშორისო
 ცენტრის
 ბიულეტენი

№1

- 3 მანანა დოიჯაშვილი. მისალმება
- 3 რუსუდან წურწუშია. შესავალი სიტყვა
- 7 თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია
- 8 მანანა ანდრიაძე. კონსერვატორიის ფოლკლორის კათედრის ისტორიიდან
- 10 ტრადიციული მრავალხმიანობის მეორე საერთაშორისო სიმპოზიუმის სამეცნიერო მუშაობის პროგრამა
- 11 ნარკვევები ქართული ხალხური მუსიკის შესახებ. პირველი ინგლისურენოვანი გამოცემა
- 13 სანოტო კრებულები. 99 ქართული სიმღერა
- 14 საქართველოს ეთნომუსიკა 2004 წ.
- 16 საველე შემკრებლობითი მუშაობა. ფოლკლორული ექსპედიცია დმანისის რაიონში (სვანური მოსახლეობა ქვემო ქართლში)
- 17 ფოლკლორული ექსპედიცია ოზურგეთის რაიონში (გურია)
- 18 ფოლკლორული ექსპედიცია ლენტეხი – ცაგერის რაიონში (სვანეთი-ლენხუმი)
- 20 ფოლკლორული ექსპედიცია თელათგორში (ქართლი)
- 21 ქართველი ეთნომუსიკისმცოდნეები ევსევი /კუკური/ დავითის ძე ჭოხონელიძე
- 23 საქართველოს ფოლკლორული კოლექტივები. ანჩისხატის ტაძრის გუნდი და ფოლკლორული ჯგუფი „ძველი კილოები“
- 25 ყოველი შესრულებისას სხვადასხვაგვარად ვმღერი. ინტერვიუ ცნობილ ლოტბაროთარ ბერძენიშვილთან
- 28 ერთი ქართული ხალხური სიმღერა. ქიზიყ ბოლოზე





ბიულეტენი გამოდის წელიწადში ორჯერ,
ქართულად და ინგლისურად,
O'შნესკოს მხარდაჭერით

© თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის
სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული
მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი, 2004.

ISSN 1512-2883

რედაქტორები:
რუსუდან წურწუმია,
თამაზ გაბისონია

დიზაინერები:
ნიკა სებისკვერაძე,
გიორგი კოკილაშვილი,

კომპ. უზრუნველყოფა:
კახა მაისურაძე,

სტამბა:
შპს „პოლიგრაფი“

მისამართი: საქართველო, თბილისი, 0108, გრიბოედოვის ქ. №8/10.
ტელ: (+995 32) 2998953, ფაქსი: (+995 32) 2987187

ელ-ფოსტა: polyphony@polyphony.ge; polyphony@conservatoire.edu.ge;

www.polyphony.ge



მანანა ღომიჯაშვილი,
თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის
რექტორი, პროფესორი

დღეს ქართულ პოლიფონიურ სიმღერას მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მღერიან, გაიზარდა მისით დაინტერესებულ უცხოელ მეცნიერთა რიცხვიც.

მაგრამ რომ არა იუნესკოს მხარდაჭერა, ძალიან გაგვიჭირდებოდა ჩვენი ოცნების ხორცშესხმა – თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის ისეთი ცენტრის შექმნა, რომელიც ქართული სიმღერა-გალობის თვითმყოფად ბუნებას კავკასიისა და მსოფლიოს სხვა ხალხთა მრავალხმიანობის კონტექსტში გამოავლენს.

დღეს, როცა გლობალიზაცია საფრთხეს უქმნის მსოფლიოს კულტურულ მრავალფეროვნებას, კაცობრიობის ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი მსოფლიოს მატერიალური თუ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-შენარჩუნებაა. ჩვენ ძალიან გვამაყვება, რომ იუნესკომ 2001 წელს ქართული მრავალხმიანობა მსოფლიოს ხელთუქმნელი კულტურული მემკვიდრეობის შედეგად გამოაცხადა და ამით იგი თავისი მზრუნველობის ორბიტაში მოაქცია. განსაკუთრებით ვემადლიერებით **იაპონიის მთავრობას**, რომელიც ამავე ორგანიზაციის შუამდგომლობით 2003 წლიდან თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში „ქართული პოლიფონიის დაცვისა და განვითარების“ სამწლიან პროგრამას აფინანსებს. მე სამომავლოდ დიდი იმედით მავსებს ისიც, რომ ჩვენი ქვეყნისათვის ურთულეს ვითარებაში **საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო** ამ პროექტის თანადამფინანსებელია.


თქვენ ახლა ხელთ გაქვთ თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის (ტმძსც) პირველი ბიულეტენი, რომლის გამოცემა სწორედ ამ პროგრამის ნაწილია.



რუსუდან ვაშვაშვილი
ტმძსც დირექტორი, დოქტორი,
პროფესორი

ქართული საზოგადოების ცხოვრება მკვეთრად შეიცვალა მას შემდეგ, რაც ჩვენი ქვეყანა დამოუკიდებელი გახდა. ეს ცვლილებები შეეხო ყველა სფეროს, გარდამავალი პერიოდი მეტად მტკივნეული აღმოჩნდა. მაგრამ მოპოვებულმა თავისუფლებამ ქართულ კულტურას მსოფლიოს კულტურულ მრავალფეროვნებაში ხელახლა აპოვნინა თავისი ადგილი.

ეს სასიკეთო ძვრები, ჩემი აზრით, ყველაზე მეტად ტრადიციულმა მრავალხმიანობამ იგრძნო.



The United Nations Educational,
Scientific and Cultural Organization

hereby proclaims

Georgian Polyphonic Singing
- Georgia -

a Masterpiece
of the Oral and Intangible
Heritage of Humanity

松浦 晃一郎

Koichiro Matsuura
Director-General

Paris, 18 May 2001

ვერ ვიტყვოდი, რომ გასული საუკუნის 70-იან წლებში ქართული ხალხური სიმღერის ყველაზე პოპულარული ანსამბლი “რუსთავი” (ხელმძღვანელი ა. ერქომაშვილი) ცოტას მოგზაურობდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. მაგრამ საბჭოთა იმპერიის ფარგლებს გარეთ ოფიციალურად იგი ყველასთვის „დიდ საბჭოთა კულტურას”, უფრო ზუსტად კი, რუსულ კულტურას წარმოადგენდა. მიუხედავად ამისა, ქართულ მრავალხმიანობასთან შეხებამ ბევრს გაუღვიძა ამ კულტურის უკეთ შესწავლის სურვილი. ასე „გაჟონა” ქართულმა სიმღერამ ჯერ კიდევ 70-იან წლებში იაპონიაში, მაგრამ, კარგა ხანი გავიდა, სანამ იაპონური გუნდი „იამაშიროგუმი” დამოუკიდებელ საქართველოს ეწვეოდა და მსოფლიოს ხალხთა მრავალხმიანობასთან ერთად ქართულსაც შეასრულებდა.

უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე კი, შეიძლება ითქვას, რომ ქართულმა პოლიფონიამ შეაღწია დედამიწის თითქმის ყველა კონტინენტზე – მას მღერიან ავსტრალიაში, ევროპაში, აზიაში, ამერიკაში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქართული სიმღერა-გალობა არა მარტო მისი შემქმნელი ხალხის საკუთრებაა, არამედ თანამედროვე ცივილიზებული ადამიანის სულიერ სამყაროსაც ეხმიანება და ამდენად, მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის გამორჩეული მოვლენაა.

ყოველივე ამან ქართული მრავალხმიანობის ფუნომენისადმი წმინდა ეთნომუსიკისმცოდნური ინტერესიც გაზარდა, რაც 2002 წელს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში ჩატარებულმა ტრადიციული მრავალხმიანობის I საერთაშორისო სიმპოზიუმამაც დაადასტურა – მასში ქართველ მეცნიერებთან ერთად მონაწილეობდნენ მსოფლიოს გამოჩენილი ეთნომუსიკისმცოდნეები დიტერ ქრისტენსენი, ტიმოთი რაისი, იხალი ზემცოვსკი (აშშ), სიმპა არომი, ტრან ჭუანგ ჰაი (საფრანგეთი), ფრანც ფოიდერმაირი (ავსტრია), ოოჰაში ცუტომუ (იაპონია) და სხვ.

ეს სიმპოზიუმი ისტორიული მნიშვნელობის აღმოჩნდა – მან საქართველოში ეთნომუსიკისმცოდნეობის განვითარების ახალი ეტაპი დაიწყო.

2002 წლის სიმპოზიუმს ესწრებოდა იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სექტორის მაშინდელი დირექტორი **ქნი ნორიკო აიკავა**, რომელმაც შემდგომ დიდი როლი შეასრულა კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის საერთაშორისო კვლევის ცენტრის (ტმპსც) დაარსებასა და მის ფეხზე დასაყენებლად იუნესკოს პროგრამის დაწყებაში. 2004 წელს ამ პროგრამის ფარგლებში

გაიმართა ტრადიციული მრავალხმიანობის II საერთაშორისო სიმპოზიუმიც. მან დაგვარწმუნა, რომ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერები და, რაც არანაკლებ სასიხარულოა, უცხოელი შემსრულებლები – მუსიკოსები და მუსიკის უბრალო მოყვარულები, სერიოზულად არიან დაინტერესებული ქართული მრავალხმიანი სიმღერა-გალობით.

სწორედ ამ ინტერესის დასაკმაყოფილებლად გადავწყვიტეთ გამოგვეცა ეს ბიულეტენი. იგი ქართველ და უცხოელ მკითხველს გააცნობს, როგორ მიმდინარეობს ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევა საქართველოში, რა უწყობს ხელს ან რა აფერხებს ქართული საერო და სასულიერო მუსიკის შესწავლას; მიაწოდებს ქართული ეთნომუსიკისმცოდნეობის სიახლეებს, სისტემატურად გამოაქვეყნებს მასალას ფოლკლორული ექსპედიციების შესახებ, ცხადია, გავისხენებთ დვაწლმოსილ მეცნიერებს, სიმღერა-გალობის ოსტატებს. ასევე ვფიქრობთ, ჩვენი ბიულეტენის ყოველ ნომერში გამოვამზებთ ნოტებზე გადაღებული ქართული მრავალხმიანობის თითო ნიმუში. ერთი სიტყვით, შევეცდებით, ეს პატარა გამოცემა საინტერესო იყოს როგორც სპეციალისტების, ისე ტრადიციული მუსიკით დაინტერესებული მკითხველისათვის.

პირველ ნომერში გვინდა ცოტა რამ გვიამბოთ თავად კონსერვატორიასა და საქართველოში სამუსიკო ფოლკლორის მეცნიერული შესწავლის ტრადიციაზე, აგრეთვე იმაზეც, რა უძღოდა წინ ტრადიციული მრავალხმიანობის ცენტრის შექმნასა და ბიულეტენის გამოცემას.

* * *

საქართველოში მრავალხმიანობის კვლევას საფუძველი XIX საუკუნის II ნახევარში ჩაეყარა, როცა ქართველმა მოღვაწეებმა დაიწყეს პირველი ნარკვევების გამოქვეყნება ქართულ სასულიერო გალობასა (ძველი პროფესიული მუსიკა) და ხალხურ სიმღერაზე.

საქართველოში სამუსიკო ფოლკლორისტიკის მეცნიერების ფუძემდებლად ახალი ქართული პროფესიული მუსიკის კლასიკოსი, კომპოზიტორი, აკადემიკოსი დიმიტრი არაყიშვილია აღიარებული, რომელმაც უკვე XX საუკუნის დასაწყისში საქართველოს ფარგლებს გარეთ გაიტანა ქართული ხალხური სიმღერა – მის მიერ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ჩაწერილი 500-მდე ნიმუში მოსკოვის უნივერსიტეტის ბუნებისმეტყველების, ანთროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის საზოგადოებასთან არსებული მუსიკალურ-ეთნოგრაფიული კომისიის გამოცემებში გამოქვეყნდა. მოსკოვში ამავე

დროს დაისტამბა მისი პირველი შრომებიც (1906, 1908, 1916 წლები) სანოტო მაგალითებითურთ.

მეოცე საუკუნის ათიანი წლების ბოლოდან, განსაკუთრებით კი 20-30-ანი წლებიდან დაიწყო ევროპელ მკვლევართა დაინტერესება ქართული ტრადიციული მრავალხმიანობით. რობერტ ლახის, გეორგ შუნემანის, მარიუს შნაიდერის და, განსაკუთრებით, ზიგფრიდ ნადელის მრავალხმიანობისადმი მიძღვნილ შრომებში ქართულ მრავალხმიანობას ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უჭირავს. ზიგფრიდ ნადელის ცნობილი გამოკვლევა გერმანულ ენაზე – „ქართული სიმღერები“ სანოტო მაგალითებით (1933) უცხოეთში გამოქვეყნებული პირველი ფუნდამენტური შრომაა, რომელშიც, სხვათაგან ერთად, დასაბუთებულია ქართული მრავალხმიანობის ადგილობრივი წარმომავლობა და წამოყენებულია მოსაზრება, რომ ძირძველ ქართულ მრავალხმიანობას, შესაძლოა, გავლენა მოეხდინა პროფესიული მრავალხმიანობის გაჩენაზე ევროპაში. ეს მოსაზრება კიდევ უფრო მკაფიოდ არის გამოთქმული მარიუს შნაიდერის 40-60-იან წლებში გამოქვეყნებულ ნაშრომებში, მათ შორის დღემდე უნიკალურ გამოცემაში „მრავალხმიანობის ისტორია“ (მეორე გამოცემა, 1969).

1921 წელს საქართველოში საბჭოურ-ბოლშევიკური რეჟიმის დამყარებამ თითქმის 70 წლით შეწყვიტა საეკლესიო მუსიკის, როგორც ეროვნული მუსიკალური ცნობიერების განუყოფელი ნაწილის კვლევა, მაგრამ გრძელდებოდა ტრადიციული ხალხური მუსიკის ინტენსიური შესწავლა. ამ საქმეში ფასდაუდებელი წვლილი შეიტანეს ივანე ჯავახიშვილმა, გრიგოლ ჩხიკვაძემ, შალვა ასლანიშვილმა, ვლადიმერ ახობაძემ, ოთარ ჩიჯავაძემ, ვალერიან მალრაძემ, ქრისტეფორე არაქელოვმა, კახი როსებაშვილმა, მინდია ჟორდანიამ, კუკური ჭოხონელიძემ, ედიშერ გარაყანიძემ და სხვ. მათ შრომებში, ქართული ხალხური მუსიკის ზოგად თავისებურებებთან ერთად, განიხილება მრავალდიალექტიანი ხალხური სიმღერის რეგიონული სტილებისათვის დამახასიათებელი ნიშნები, რიტმულ-ინტონაციური და კილოპარმონიული თავისებურებები, სპეციფიკური საკადანსო ფორმები თუ საშემსრულებლო მანერა, საკრავიერი მუსიკა და ა.შ.

1980-ანი წლებიდან საქართველოში ასპარეზზე გამოდის ახალგაზრდა ეთნომუსიკის-

მცოდნეთა მთელი თაობა, რომელიც ქართული საერო და სასულიერო მრავალხმიანობის კომპლექსურ კვლევას იწყებს. ამ კვლევის შედეგებმა თავი იჩინეს ტრადიციული მრავალხმიანობისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონფერენციებზე, რომლებიც ბორჯომსა და თბილისში გაიმართა 1984, 1986 და 1988 წლებში.

ამ კონფერენციებში მონაწილეობას იღებდნენ ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ეთნომუსიკისმცოდნური სკოლების წარმომადგენლები. სამეცნიერო სხდომების შემდეგ გამართულმა ქართული ხალხური სიმღერის კოლექტივების კონცერტებმა საფუძველი ჩაუყარა კვლევითი და საშემსრულებლო კომპონენტების სინთეზს, რაც ესოდენ დამახასიათებელი გახდა მომდევნო კონფერენციებისათვის.

განსაკუთრებით ფართო საერთაშორისო მასშტაბები შეიძინა ბორჯომის 1986 და 1988 წლის კონფერენციებმა, რომელთა ერთ-ერთი ინიციატორი იოსებ ჟორდანიას იყო. მათ მომზადებასა და ჩატარებაში კონსერვატორიას (სამეცნიერო დარგის პრორექტორი რ. წურწუშია, ქართული ხალხური სამუსიკო შემოქმედების კათედრის გამგე ე. ჭოხონელიძე) დიდი დახმარება გაუწია კომპოზიტორთა კავშირის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ – გია ყანჩელმა და ანზორ ერქომაიშვილმა. კონფერენციები წალკოტში ჩადგმულ კომპოზიტორთა სახლის საკონცერტო დარბაზში მიმდინარეობდა. დღის სამეცნიერო სხდომებს სადამოს საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული ხალხური მომღერლების მაღალი ხელოვნება ენაცვლებოდა და სოფლური სიმღერის განუმეორებელ სურნელებას აფრქვევდა სცენიდან... სხვათა შორის, ეს კონფერენციები საბჭოთა კავშირის პერიფერიული რესპუბლიკებისათვის უჩვეულოდ წარმომადგენლობითი იყო ევროპელი და ამერიკელი მეცნიერების მონაწილეობის თვალსაზრისით და მათ ორგანიზაციაში დაუდლადად გვეხმარებოდა რუსული ეთნომუსიკოლოგიის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი ბ-ნი იხალი ზემცოვსკი, ქართული კულტურის მეგობარი, რომლის სამეცნიერო კონსულტაციები დიდად ეხმარებოდა ახალგაზრდა ქართველ ეთნომუსიკოლოგებს.

საბჭოთა იმპერიის დაშლის შემდეგ, 1990-ანი წლების დამოუკიდებელ საქართველოში შექმნილმა მძიმე პოლიტიკურმა და სოციალურმა

ვითარებამ ეს ტრადიცია მოშალა და მისი აღდგენა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდი ძალისხმევით მხოლოდ 1998 წელს მოხერხდა. მომდევნო საერთაშორისო კონფერენცია ფონდის „ღია საზოგადოება – საქართველოს“ დახმარებით 2000 წელს ჩატარდა. გამოცემულია ყველა კონფერენციის მასალები: 80-იანი წლებისა – თეზისების სახით, რუსულ ენაზე, ხოლო 1998 და 2000 წლებისა – მოხსენებების სახით, ქართულ-ინგლისურ ენებზე.

ეს იყო თანმიმდევრული სვლა ტრადიციული მრავალხმიანობის I საერთაშორისო სიმ-

პოზიუმისაკენ, რომელმაც, ერთი მხრივ, შეაჯამა ქართული ეთნომუსიკისმცოდნეობის განვითარების საუკუნოვანი გზა და, მეორე მხრივ, დაიწყო მსოფლიო მრავალხმიანობის კონტექსტში ქართული მრავალხმიანობის კვლევის ახალი ეტაპი.

* * *

ერთი შეხედვით, ტრადიციული მრავალხმიანობის საერთაშორისო სიმპოზიუმები თავისი სქემით – სამეცნიერო სესიებისა და საკონცერტო პროგრამების მონაცვლეობით – ბორჯომის კონფერენციებს წააგვანან. მაგრამ, ამ ორ მოვლენას ერთმანეთისაგან, ორგანიზატორების აზრით, პრინციპულად განასხვავებს მათი მასშტაბი: 2002 წლის სიმპოზიუმზე თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ქართული მრავალხმიანობა პირველად წარსდგასეთი ძღვეამოსილებითა და სიდიდით მსოფლიოს ამდენი გამოჩენილი მეცნიერისა და თავად ქართული საზოგადოების წინაშე, როგორც არალოკალური მოვლენა, არამედ ზოგადსაკაცობრიო ღირებულების მქონე ფენომენი, რომელსაც ქართველებზე არანაკლები შთაგონებით ასრულებენ იაპონელები და ამერიკელები, ფრანგები, ბრიტანელები, კანადელები, პოლანდიელები...

II სიმპოზიუმზე კი ქართული მრავალხმიანობასთან ერთად საკონცერტო პროგრამებში წარმოდგენილი იყო საქართველოში მცხოვრები ხალხების – აფხაზების, ოსებისა და ჩეჩნების მრავალხმიანი სამღერაო. თუმცა, სამწუხაროდ, აფხაზური – არა აფხაზების, არამედ სოხუმიდან დევნილი ქართველების შესრულებით. იყვნენ ინგილოები მომმე აზერბაიჯანიდან, ლაზები მეგობარი თურქეთიდან და ფერეიდნელი ქართველებიც ირანიდან.

ტრადიციული მრავალხმიანობის თბილისის საერთაშორისო სიმპოზიუმის პრესტიჟისათვის აუცილებელია მაღალი მომთხონველობა როგორც სამეცნიერო, ისე საკონცერტო პროგრამების მიმართ. ამიტომ 2006 წლის III სიმპოზიუმისათვის მეტი დატვირთვით იმუშავეს პროგრამების კომისია. ტმპსც დიდ მაღლიერებას გამოხატავს იმ უცხოელი კოლეგების მიმართ, რომლებმაც დახმარება აღგვითქვეს ამ სამუშაოს ჯეროვნად შესრულებაში.



თბილისის განო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია

1917 წლის 1 მაისი თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დაბადების დღეა. კარგა ხნის მანძილზე იგი იყო პირველი და ერთადერთი უმაღლესი სამუსიკო სასწავლებელი მთელს კავკასიაში.

კონსერვატორია მდებარეობს თბილისის კულტურულ და საქმიან ცენტრში. მისი ისტორიული შენობა წარმოადგენს არქიტექტურულ ძეგლს და შეტანილია კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში.

1874 წელს ხ. სავანელმა, კ. აღიხანოვმა და ა. მიზანდარმა თბილისში დაარსეს ევროპული ყაიდის სამუსიკო სკოლა, რომელიც 1986 წელს სასწავლებლად გადაკეთდა. 1891 წელს ანტონ რუბინშტეინმა საქველმოქმედო კონცერტით საფუძველი ჩაუყარა სახსრების შეგროვებას მომავალი უმაღლესი სამუსიკო სკოლისათვის სპეციალური შენობის ასაგებად. მადლიერების ნიშნად კონსერვატორიის შენობას მისი ქანდაკება ამშვენებს.

თავიდან სამუსიკო სასწავლებლის პედაგოგებს შორის იყვნენ ფ. ლისტის, პ. ვენი-ავსკის, ა. მარმონტელის, პ. ჩაიკოვსკის, ი. მოშელესის, ფ. კულაუს მოწაფეები, აგრეთვე ჯულიარდის განთქმული სკოლის დამაარსებლები – ი. და რ. ლევინები. ბევრმა მათგანმა უკვე კონსერვატორიაში განაგრძო მუშაობა მოსკოვიდან და ლენინგრადიდან მოწვეული პროფესორების გვერდით. მათთან ერთად თბილისის კონსერვატორიის მაღალ პროფესიულ რეპუტაციას ქართველი მუსიკოსებიც ქმნიდნენ. მათ შორის, კონსერვატორიის პირველი ქართველი რექტორი, ეროვნული საკომპოზიტორო სკოლის ფუძემდებელი ზაქარია ფალიაშვილი, პიანისტები ა. თულაშვილი და ა. ვირსალაძე, მევიოლინეები ლ. შიუკაშვილი, ლ. იაშვილი და შ. შანიძე, ბ. ჭიაურელი (საკვარტეტო კლასი), დირიჟორები ე. მიქელაძე და ო. დიმიტრიადი, მუსიკისმცოდნეები ვ. დონაძე, პ. ხუჭუა და შ. ასლანიშვილი, ეთნომუსიკისმცოდნეები დ. არაყიშვილი და გ. ჩხიკვაძე.

კონსერვატორიის კურსდამთავრებულთა შორის მრავალი გამოჩენილი მუსიკოსია – კომპოზიტორები – ა. ბალანჩივაძე და შ. მშველიძე, ა. მაჭავარიანი და ო. თაქთაქიშვილი, ს. ცინცაძე,



რ. ლალიძე, ბ. კვერნაძე, ს. ნასიძე, ნ. გაბუნია, გ. ყანჩელი, ი. კეჭაყმაძე, ი. ბარდნაშვილი, და სხვ.; მომღერლები ზ. ანჯაფარიძე, ნ. ანდლულაძე, ზ. სოტკილავა, მ. ქასრაშვილი, პ. ბურჭულაძე, ი. ალიბეგაშვილი, ლ. ათანელი, პიანისტები ე. ვირსალაძე, ლ. თორაძე, მ. დოიჯაშვილი, ე. ანჯაფარიძე, ა. კორსანტია, მევიოლინეები მ. იაშვილი, ლ. ისაკაძე და მრავალი სხვ.

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია დაარსების დღიდანვე იქცა საქართველოს ერთ-ერთ უმთავრეს მუსიკალურ ცენტრად, სადაც მრავალ მნიშვნელოვან კულტურულ მოვლენას აქვს ადგილი – მათ შორის ისეთი მუსიკალური ფორუმებს, როგორცაა მუსიკოს-შემსრულებელთა რესპუბლიკური და საერთაშორისო კონკურსები, საერთაშორისო სიმპოზიუმები და კონფერენციები, კონცერტები, საოპერო სპექტაკლები, მასტერკლასები და სხვ.

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიას ზ. ფალიაშვილის შემდეგ ბევრი გამოჩენილი ქართველი და რუსი (20-ან წლებში) მუსიკოსი ხელმძღვანელობდა – დ. არაყიშვილი, მ. იპოლიტოვიანოვი, გ. კილაძე, ი. ტუსკია, ო. თაქთაქიშვილი, ს. ცინცაძე, ნ. გაბუნია.

2000 წელს, კონსერვატორიის არსებობის ისტორიაში პირველად, მას სათავეში ჩაუდგა პიანისტი ქალი – საქართველოს სახალხო

არტიტი, საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი, მუსიკალური კონკურსების ფონდის დირექტორი, პროფესორი მანანა დოიჯაშვილი. მის სახელთანაა დაკავშირებული ძირეული რეფორმები, რომლებიც უკანასკნელ ხანს დიდი წარმატებით ხორციელდება კონსერვატორიაში. მისი უდიდესი ძალისხმევითა და სახელმწიფოს, მერიისა და სპონსორების მხარდაჭერით 1997 წელს ჯერ კონსერვატორიის დიდი დარბაზის რეკონსტრუქცია განხორციელდა, ხოლო 2000 წლიდან სახელმწიფოს, მერიისა და სპონსორების მხარდაჭერით თავად კონსერვატორია გადაიქცა თანამედროვე ტიპის უმაღლეს სამუსიკო სკოლად, კეთილმოწყობილი სასწავლო აუდიტორიებით, ბიბლიოთეკით, აუდიო-სტუდიით, სარეპეტიციო, კამერული და საკონცერტო დარბაზებით.

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში 300-ზე მეტი სტუდენტი და ასპირანტი სწავლობს; არის 6 ფაკულტეტი და 15 კათედრა, სწავლება მიმდინარეობს ფორტეპიანოს, საორკესტრო საკრავების, სოლო სიმღერის, საგუნდო და საოპერო-სიმფონიური ღირიჟორობის, კომპოზიციის, მუსიკისმცოდნეობისა და ეთნომუსიკისმცოდნეობის სპეციალობებზე.

კონსერვატორიაში არსებობს სტუდენტური ორკესტრი და გუნდები, საოპერო სტუდია.

კონსერვატორიაში სწავლება ორსაფეხურიანია – ბაკალავრიატი (4 წელი) და მაგისტრატურა (2 წელი). კონსერვატორიას აქვს განათლების უმაღლესის შემდგომი საფეხური – დოქტორანტურა და ასისტენტურა (საშემსრულებლო სპეციალობებისათვის).

კონსერვატორიაში სწავლება უფასოა, არსებობს ფასიანი სწავლების ფორმაც.

კონსერვატორიაში, სასწავლო მუშაობასთან ერთად, მიმდინარეობს ინტენსიური სამეცნიერო მუშაობა. 2003 წელს დაარსდა ტრადიციული მრავალსმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი (ტმპსც).

კონსერვატორიას აქვს ბიბლიოთეკა, რომლის ფონდებში დაცულია თითქმის ყველა ის წიგნი და სანოტო გამოცემა, რომელიც საქართველოში შემოდოდა XIX საუკუნიდან, მათ შორის XV-XIX საუკუნის გამოცემები, სულ 100 000-ზე მეტი სანოტო გამოცემა და 50 000-ზე მეტი წიგნი.

აქ არის აგრეთვე კონსერვატორიის ისტორიის მუზეუმი, რომელიც ფაქტობრივად საქართველოში ევროპული ყაიდის მუსიკალური კულტურისა და განათლების ისტორიას ასახავს.



მანანა ანდრიაძე,
ქართული ხალხური სამუსიკო შემოქმედების კათედრის გამგე, დოქტორი, პროფესორი

თბილისის კონსერვატორიის ხალხური სამუსიკო შემოქმედების კათედრის ისტორიიდან

ქართული ხალხური მუსიკის შესწავლას თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში მისი დაარსების დღიდან ჩაეყარა საფუძველი.

1917 წელს, ზაქარია ფალიაშვილის ინიციატივით დაარსდა ქართული ხალხური და საეკლესიო მუსიკის კათედრა. ნიშანდობლივია, რომ ქართული მუსიკის ეს ორი ძირითადი სფერო თავიდანვე იყო გაერთიანებული. ფალიაშვილს, როგორც გუნდის პედაგოგს, შესაძლოა თვითონაც ჰქონდა ჩაფიქრებული გაღობის სწავლება (როგორც მაგალითად, სათავადაზნაურო, ანუ კლასიკურ გიმნაზიაში). ფალიაშვილის სურვილი იყო კათედრაზე მოეწვიათ დიმიტრი არაყიშვილი, როგორც მუსიკალური ეთნოგრაფიის საუკეთესო მცოდნე. სამწუხაროდ, კათედრა გაუქმდა და რამდენიმე ათეული წელი ქართული ხალხური შემოქმედების სწავლება და კვლევა სხვა კათედრებზე მიმდინარეობდა. ცალკე სტრუქტურად ეს დარგი მხოლოდ 1946 წელს ჩამოყალიბდა. მუსიკის ისტორიის კათედრასთან შეიქმნა ქართული ფოლკლორის კაბინეტი, რომელიც 1949 წელს იმავე კათედრასთან არსებულ ქართული ფოლკლორის განყოფილებად გადაკეთდა.

აღნიშნულ მოვლენებში დიდი როლი ითამაშა იმ გარემოებამ, რომ 30-ან წლებში კონსერვატორიაში დაბრუნდა ქართველ მუსიკისმცოდნე-

თერგდალეულთა ძლიერი თაობა: შალვა ასლანიშვილი, ლადო დონაძე, გრიგოლ ჩხიკვაძე, პავლე ხუჭუა. ისინი სათავეში ჩაუდგნენ სამ წამყვან დარგს – მუსიკის თეორიას, მუსიკის ისტორიას და ქართულ ხალხურ შემოქმედებას. 1937 წელს დაარსდა მუსიკის თეორიისა და მუსიკის ისტორიის კათედრები.

30-ანი წლებიდანვე იწყება კონსერვატორიის პედაგოგთა ინტენსიური ექსპედიციები საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში. მათ შორის განსაკუთრებით ნაყოფიერია შალვა მშველიძის, გრიგოლ ჩხიკვაძის, შალვა ასლანიშვილის, ვლადიმერ ახოზაძის ექსპედიციათა შედეგები და სამეცნიერო შრომები. შემორჩენილია წერილი, სადაც კონსერვატორიის იმდროინდელი ხელმძღვანელობა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს თხოვს თავდაცვის იარაღს შალვა მშველიძისათვის, რომელიც „ხშირად იმყოფება ფშავში, ხევსურეთში, თუშეთში, ქართლში, გურიაში, აჭარაში, ჯავახეთში და ა.შ. ექსპედიციებში და თან აქვს მნიშვნელოვანი ფულადი თანხა.“ ჩამოთვლილი რეგიონების რაოდენობა და არეალი მიუთითებს ექსპედიციების მასშტაბებზე, წერილი კი კონსერვატორიის განუხრეველ ინტერესზე ქართული ხალხური მუსიკის მიმართ.

1932 წელს კონსერვატორიაში დაარსებული სამეცნიერო-მეთოდური ბიუროს მიერ (თავმჯდომარე შ. მშველიძე), სხვა სასწავლო პროგრამებთან ერთად დამტკიცებულია ქართული მუსიკისა და მუსიკალური ეთნოგრაფიის პროგრამები. მათი ავტორები არიან დიმიტრი არაყიშვილი და შალვა მშველიძე. 40-ან წლებში გრიგოლ ჩხიკვაძის მონაწილეობით მტკიცდება ქართული მუსიკალური კულტურის კურსი.

ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების კათედრა დაარსდა კაბინეტის ბაზაზე 1970 წელს და მის პირველ გამგედ გრიგოლ ჩხიკვაძე დაინიშნა. ამ დროისათვის კათედრაზე უკვე მუშაობენ თბილისის კონსერვატორიის აღზრდილი მუსიკისმცოდნე-ფოლკლორისტები – მინდია ჟორდანიას, კახი როსებაშვილი, ევსევი (კუკური) ჭოხონელიძე, ბარამ ბარამიძე, ოთარ ჩიჯავაძე და სხვები. ისინი ეწევიან პედაგოგიურ, შემკრებლობით და სამეცნიერო მუშაობას. სხვადასხვა ექსპედიციების გარდა აღსანიშნავია კახი როსებაშვილის მიერ კონსერვატორიის კედლებში ჩაწერილი უკანასკნელი სრული



ე. ჭოხონელიძე, გ. ჩხიკვაძე, კ. როსებაშვილი
კონსერვატორიის ფოლკლორის კაბინეტში,
1966 წელი

ქართველი მეგობრების არტემ ერქომაიშვილის მიერ შესრულებული საგალობლები.

1997 წელს ფოლკლორის კათედრასთან ოფიციალურად შეიქმნა ქართული საერო და სასულიერო მუსიკის კვლევის ლაბორატორია, რომლის მუშაობაში (სახელდობრ, საეკლესიო მუსიკის კვლევაში), კონსერვატორიის სხვა კათედრების წევრებიც ჩაერთვნენ.

ამ დროისათვის ქართული ხალხური მუსიკის სწავლებასა და კვლევას თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში ემსახურება ქართული ხალხური მუსიკის კათედრა, რომელსაც გრიგოლ ჩხიკვაძის შემდეგ, 1977-2004 წლებში უცვლელად ხელმძღვანელობდა ევსევი (კუკური) ჭოხონელიძე. კათედრასთან არსებობს აგრეთვე ფოლკლორის კაბინეტი და საერო და სასულიერო მუსიკის კვლევის ლაბორატორია. სწორედ ამ ერთეულების ბაზაზე შეიქმნა 2003 წელს ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი (ტიმსც).

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის პერმანენტული ნაკლებობების გამო ქართული ხალხური მუსიკის კათედრას კარგა ხანს არ ჰქონდა საშუალება სრულფასოვნად ეწარმოებინა შიდა თუ სხვადასხვა საქმიანობა. მიუხედავად ამისა, კათედრის თანამშრომლების ძალისხმევით კვლავ მიმდინარეობდა მუშაობა რამდენიმე მიმართულებით: კათედრაზე სწავლობდნენ ფოლკლორისტები (მათი რიცხვი მკვეთრად

შემცირდა 90-ანი წლების ბოლოს), ეწეობოდა ფოლკლორული კონცერტები, სამეცნიერო კონფერენციები, იბეჭდებოდა ხალხური სიმღერების კრებულები და სამეცნიერო სტატიები. სამწუხაროდ, კათედრის წევრთა მნიშვნელოვანი ნაწილი შემოქმედებითი მოღვაწეობის ზენიტში წავიდა ამ ქვეყნიდან. მინდია ჟორდანიას, კახი როსებაშვილს, კუკური ჭოხონელიძეს და სულ ახალგაზრდა ედიშერ გარაყანიძეს კიდევ ძალიან ბევრი ჰქონდათ სათქმელი.

მეტი აქტივობით ამუშავდა კათედრა მას შემდეგ, რაც აღდგა ხალხური მრავალხმიანობისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ფორუმები და მსოფლიოში ცნობილი, ავტორიტეტული ეთნომუსიკისმცოდნეებისა და ოქსფორდის მხარდაჭერით დაარსდა ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი (ტმმც). ოქსფორდის პროგრამაზე მუშაობამ დააკონკრეტა პრიორიტეტები და ბიძგი მისცა მათ მიზანმიმართულ განხორციელებას.

ამ მოვლენებმა და კათედრის ახალგაზრდა პედაგოგთა საინტერესო მუშაობამ კვლავ გააღვივა სტუდენტთა ინტერესი ქართული ხალხური მუსიკის მიმართ. სასწავლო გეგმაში არჩევითი საგნების ჩამონათვალში ფოლკლორის შეტანამ ათამდე სტუდენტი მოიხიდა კათედრაზე. ამას გარდა, ფოლკლორისა და სასულიერო მუსიკის ხაზით სპეციალიზაციას კათედრაზე უკვე სტუდენტთა ჯგუფი ეუფლება. კათედრის ინიციატივით 2005 წლის თებერვლიდან სწავლას შეუდგება სტუდენტთა ფოლკლორული ანსამბლი, რომელშიც სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტებია გაერთიანებული. ეს კათედრისა და მთელი კონსერვატორიის დიდი ხნის სურვილი იყო. უკვე გადაწყვეტილია ხალხური საკრავების ჩართვა არჩევითი საკრავების ნუსხაში.

ყოველივე ეს საფუძველს უმაგრებს ქართული კულტურის ერთერთი უმნიშვნელოვანესი საგანძურის – ქართული ხალხური მუსიკის სათანადო შესწავლას და მისთვის საერთაშორისო სამეცნიერო ინტერესის სფეროში ადგილის დამკვიდრებას. ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების კათედრას დიდი მისია აკისრია, განსაკუთრებით ესეა, როდესაც ხალხურ მემკვიდრეობაზე ზრუნვა სახელმწიფო პოლიტიკის პრეროგატივად გამოცხადდა.

ტრადიციული მრავალხმიანობის მეორე საერთაშორისო სიმპოზიუმის სამეცნიერო მუშაობის პროგრამა

მრავალხმიანობა, როგორც „ეთნოსმენა“ და მისი „მუსიკალური სუბსტანცია“: Homo Polyphonicus მოქმედებს – იზალი ზემცოვსკი (აშშ)

Interrogo Ergo Cogito: რესპონსორული მღერა და ადამიანური აზროვნების საწყისები – იოსებ ჟორდანიას (ავსტრალია)

არის თუ არა მრავალხმიანობა მხოლოდ ადამიანური მოვლენა? – ვულფ ვან სილვერი (დიდი ბრიტანეთი)

ქართული მუსიკალური ფოლკლორის ესთეტიკური პოლისტადიურობა – გია ბაღაშვილი (საქართველო)

იოანე პეტრიწის მნიშვნელობის შესახებ ქართული ჰიმნოგრაფიის ისტორიაში – ნინო ფირცხალავა (საქართველო)

პიპოთეზები ქართული ხალხური მრავალხმიანობის ჩამოყალიბების პროცესის შესახებ – თამაზ გაბისონია (საქართველო)

ბოსნია-ჰერცეგოვინას ვოკალური მრავალხმიანობა საქართველოსა და ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების კონტექსტში – დიტერ ქრისტენსენი (აშშ)

ბურღონის გამოვლენა ლიტურგიული მრავალხმიანი სიმღერის ტრადიციაში – დაივა რაჩინიტი-ვიჩინიენე (ლიტვა)

ქართული ბატონების სიმღერები – ნატო ზუმბაძე (საქართველო)

მრავალხმიანი სიმღერა ალბანელებს შორის – არდიან აჰმედაია (ავსტრია)

ბურღონული მრავალხმიანობის ანალიზი – ფრანც ფოიდერმაირი (ავსტრია)

გლოვის ზარი ქართველ მამაკაცთა ტრადიციულ მრავალხმიანობაში – ნინო კალანდაძე-მანარაძე (საქართველო)

კილოს როლი უკრაინის პოლესიეს სიმღერების ფაქტურის ადრეული ტიპების ორგანიზაციაში – ევგენი ეფრემოვი (უკრაინა)

ფერხულის როლის განსაზღვრის საკითხისათვის სვანურ მუსიკალურ ფოკლორში – მაკა ხარძიანი (საქართველო)

ქართულ ხალხურ სასიმღერო მრავალხმიანობაში გაბატონებული მონოტონიკური კილოს ავთენტიკური და პლაგალური სახეობების გამოყენების შესახებ – ვლადიმერ გოგოტიშვილი (საქართველო)

საადღვომო სიმღერა „ჭონა“ ქართული კალენდარული სიმღერების კონტექსტში – თომას ჰოიზერმანი (შვეიცარია)

„ჭონას“ ტრადიცია და მისი გენეზისის ზოგიერთი საკითხი – ნინო ღამბაშიძე (საქართველო)

აღმოსავლეთ საქართველოს მთისა და ქართლ-კახური საფერხულ სიმღერების ურთიერთმიმართება – **ოთარ კაპანაძე (საქართველო)**

ავსტრიული იოღლის წვლილი ადრეულ ევროპულ პოლიფოკალურობაში – **გერლინდე ჰაიდი (ავსტრია)**

კრიმინოლოგის ნაირსახეობები დასავლეთ საქართველოს ხალხურ სიმღერებში – **ქეთევან მანჯგალაძე (საქართველო)**

ღვინის ღვთაებისადმი მიძღვნილი სარიტუალო სიმღერების რიტმულ-ინტონაციური თავისებურებები – **მარინა კვიციანიძე (საქართველო)**

„ხალხურ კულტურებში“ ტონალური მოდელების კონსტრუქცია, რეკონსტრუქცია და განახლება – **იოჰან ვესტმანი (ნორვეგია)**

კულტურული მემკვიდრეობის დოკუმენტაციის პრობლემა – **ელგუჯა დაღუნაშვილი (საქართველო)**

ხალხური მუსიკალური შემოქმედების მონაცემთა ბაზა – **ლელა მაქარაშვილი (საქართველო)**

ხალხური სიმღერის მრავალხმიანი შესრულება და მელოდიების სისტემატიზაცია – **მიხეილ ლობაიანი (რუსეთი)**

უძველესი ქართული სამგალობლო ნიშნების ინტერპრეტაციის შესაძლებლობა XIX საუკუნის სახოლო ხელნაწერების მიხედვით – **ზაალ წერეთელი (საქართველო)**

ქართული სამგალობლო სკოლები და ტრადიციები – **დავით შუღლიაშვილი (საქართველო)**

ქართული გალობის ჭრელები – **თამარ ჩხეიძე (საქართველო)**

წმ. ანდრია კრიტელის „სინანულის კანონის“ ძლისპირები – **ხათუნა მანაგაძე (საქართველო)**

ქართულ საეკლესიო საგალობლებში „დასდებლის მეცნიერების“ გამოვლენის ზოგიერთი ასპექტის შესახებ – **მაგდა სუნიაშვილი (საქართველო)**

ქართული საერო და სასულიერო მრავალხმიანობის ურთიერთკავშირისათვის – **მარიამ ოსიტაშვილი (საქართველო)**

ქართული ხალხური საკრავიერი ჰანგების მრავალხმიანობა (სამხმიანობა) და ტერმინი „ზილი“ – **მანანა შილაკაძე (საქართველო)**

ქართული ხალხური სიმღერის ვერტიკალი და სიმებიანი საკრავის წყობები – **თინათინ ჟვანია (საქართველო)**

პოლიფონია: ზეპირიდან წერით ტრადიციამდე. შეცვლილი გარემო = შეცვლილ შეტყობინებას? – **რებეკა სტიუარტი (ნიდერლანდები)**

ახალი ქორალური მულტიკულტურალიზმისაკენ – **კლეიტონ პარი (აშშ)**

რატომ მღერიან უცხოელები ქართულ ტრადიციულ სიმღერას? – **ლორან სტეფანი (საფრანგეთი)**

ცვლილებების ჩანასახი – მძიმე როლი ქართულ მუსიკალურ კულტურაში – **ნინო ციციშვილი (ავსტრალია)**

ვენის ფონოგრამების არქივის ქართული ჩანაწერები – **ნონა ლომიძე (ავსტრია)**

ნარკვევები ქართული ხალხური მუსიკის შესახებ

პირველი ინგლისურენოვანი გამოცემა

უცხოელი მკითხველისათვის ქართული მეცნიერება სამუსიკო ფოლკლორის შესახებ ნაკლებადაა ცნობილი. ამ სფეროში უცხო ენაზე მეტად მცირე რაოდენობის სამეცნიერო შრომაა შექმნილი. ამის გათვალისწინებით „ქართული პოლიფონიის დაცვისა და განვითარების“ იუნესკოს პროგრამის ფარგლებში გამოიცემა და უახლოეს ხანში ქართული მრავალხმიანი სიმღერა-გალობით დაინტერესებული მკითხველი მიიღებს ქართველ მეცნიერთა ნარკვევების პირველ ინგლისურენოვან კრებულს. მისი შემდგენლები არიან ტმპსც –ის წევრები – ნინო კალანდაძე, ნინო ფირცხალავა, ნატო ზუმბაძე და მაკა ხარძიანი.

შერჩეულ იქნა რამდენიმე ავტორი: ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანი, ილია ჭავჭავაძე, დიმიტრი არაყიშვილი, ივანე ჯავახიშვილი, შალვა ასლანიშვილი და გრიგოლ ჩხიკვაძე.




XIX საუკუნის ქართველი პოეტის, დრამატურგის, პუბლიცისტისა და ისტორიკოსის ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანის (1802-1869) წერილი „ივერიანელთა გალობა, სიმღერა და ღვინი“, რომელიც გამოქვეყნდა ჟურნალ „ცისკარში“ 1861 წელს, ეძღვნება ქართული ხალხური სასიმღერო შემოქმედების სხვადასხვა ჟანრის ნიმუშთა მოკლე მიმოხილვას.



XIX საუკუნის დიდი ქართველი მოაზროვნისა და საზოგადო მოღვაწის – ილია ჭავჭავაძის (1837-1907) წერილში „ქართული ხალხური სიმღერა“ (გაზეთი „ივერია“, 1886: №250, 251) განხილულია ეროვნული მუსიკალურის ფოლკლორის ზოგადესთეტიკური და კულტუროლოგიური ასპექტები, გამოთქმულია მნიშვნელოვანი მოსაზრე-

ბები ქართული ხალხური მუსიკის ტიპოლოგიის, ევროპულთან და აზიურთან მისი მსგავსება-განსხვავების შესახებ.




ქართული სამუსიკო ფოლკლორისტიკის ფუძემდებლის დიმიტრი არაყიშვილის (1873-1953) წიგნი „ქართული მუსიკა“ (1925წ. ქუთაისი: ადგილობრივი მეურნეობის სტამბა. რუს. ენაზე) ქართული მუსიკალური კულტურის ისტორიული მიმოხილვის თვალსაზრისით ერთ-ერთი პირველი სერიოზული ნაშრომია. მასში ზოგადად არის განხილული ქართული მუსიკალური ხელოვნების თითქმის ყველა სფერო – ხალხური მუსიკიდან თანამედროვე პროფესიული მუსიკის მიღწევებამდე. ავტორი ასევე გვაწვდის ცნობებს იმ მოღვაწეების შესახებ, რომლებმაც გარკვეული წვლილი შეიტანეს ქართული მუსიკალური (საერო და სასულიერო, ვოკალური და საკრავიერი) კულტურის შენარჩუნების, აღდგენისა და განვითარების საქმეში. კრებულში იბეჭდება მხოლოდ ხალხური მუსიკისადმი მიძღვნილი თავები.

დ. არაყიშვილის მეორე ნაშრომი „სვანური ხალხური სიმღერები“ (1950. თბილისი: ხელოვნება) წარმოადგენს ერთ-ერთ პირველ ცდას სვანეთის სამუსიკო ფოლკლორის მეცნიერული განხილვისა. ავტორი გვაწვდის ზოგად ცნობებს სვანეთის ისტორიის, ეთნოგრაფიის, ყოფის შესახებ, აანალიზებს სვანური სიმღერების მუსიკალური ენის თავისებურებებს, გვაცნობს მათი ტექსტების შინაარსს. ნაშრომს ახლავს სანოტო დანართი, რომელიც მოიცავს თვით ავტორისა და მისი თანამედროვე თუ წინამორბედი მუსიკოსების მიერ ჩაწერილ სიმღერებსა და ინსტრუმენტულ მელოდიებს (სულ 28 ნიმუში). ნაშრომი იბეჭდება შემოკლებით.



კრებულისათვის შეირჩა შესავალი წერილი ივანე ჯავახიშვილის (1876-1940) წიგნიდან „ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები“ (1938. თბილისი: ფედერაცია. 2-ე გამოცემა: 1990. თბილისი: ხელოვნება). წერილში მეცნიერი ზოგადად მსჯელობს ქართული მუსიკის სადაურობასა და წარსულზე; იმ

დროისათვის ცნობილ წყაროებზე დაყრდნობით განიხილავს და აანალიზებს ქართველი თუ არაქართველი ავტორების – იოანე ბატონიშვილის, დავით მანაბლის, პოლიევქტოს კარბელაშვილის, დიმიტრი არაყიშვილის, ზაქარია ფალიაშვილის, ზიგფრიდ ნადელის, მ. ბელიაევისა და ვალენტინა სტეშენკო-კუფტინას თვალსაზრისებს.



შალვა ასლანიშვილის (1896-1981) ნაშრომში „მრავალხმიანობის ფორმები ქართულ ხალხურ სიმღერაში“ (1954. ნარკვევები ქართული ხალხური სიმღერების შესახებ. წიგნი I. თბილისი: ხელოვნება. გვ. 3-89). ავტორი განიხილავს ქართული ხალხური მრავალხმიანობის განვითარების გზას, ორხმიანობიდან სამხმიანობაზე გადასვლის პროცესს, ახდენს მრავალხმიანობის ფორმების კლასიფიკაციას.



გრიგოლ ჩხიკვაძის (1898-1987) ნაშრომში „ძეღის საღამური“ (Чхиквадзе, Григорий. (1965). Доисторическая грузинская костяная саламури-флейта. Separatum. Budapest. Akademiai Kiado. / Europa et Hungaria. Congressus ethnographikus in Hungaria. Budapest. 16-20. X. 1963/ რუს. ენაზე).

საუბარია 1938 წელს მცხეთაში, კერძოდ, სამთავროში, არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილ ძეღის საღამურზე, რომელიც დათარიღებულია ძვ. წ-ად-ის XV-XIII საუკუნეებით. საღამური ნაპოვნი იქნა მწყემსი ბიჭუნას სამარხში. ნაშრომში მითითებულია აღნიშნული საღამურის მსგავსებაზე აფხაზეთის ტერიტორიაზე გავრცელებულ საღამურთან სახელწოდებით – აჭარპან.

კრებულში დაცულია მასალის მოწოდების ქრონოლოგიური პრინციპი. ტმძსც აპირებს ამ მიმართულებით მუშაობის გაგრძელებას და სხვა ქართველ ფოლკლორისტთა ნაშრომების თარგმნასა და გამოცემას.

„99 ქართული სიმღერა“

უელსში გამოვიდა სანოტო კრებული „99 ქართული სიმღერა“ ინგლისურ ენაზე (გამომც. Black Mountain Press, Centre for Performance Research – CPR), რომელიც ეძღვნება ქართული ეთნომუსიკისმცოდნეობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის – ედიშერ გარაყანიძის ხსოვნას. CPR-თან რამდენიმე წლიანი ურთიერთობისას კრებულის შექმნის იდეა სწორედ ე. გარაყანიძეს დაებადა და გადაწყდა, ერთობლივი ძალისხმევით გამოეცათ კიდევ. მას უკვე მოფიქრებული ჰქონდა სტრუქტურა, სათაური, დაწერა წინასიტყვაობაც. სამწუხაროდ, 1998 წელს ედიშერ გარაყანიძის ტრაგიკულმა სიკვდილმა წამოწყებული საქმე შეაფერხა და მხოლოდ ექვსი წლის შემდეგ გახდა შესაძლებელი კრებულის გამოცემა.


ამ საქმეში უდიდესი წვლილი შეიტანეს ედიშერ გარაყანიძის უცხოელმა მეგობრებმა, განსაკუთრებით – ჯოან მილსმა, რომელმაც რედაქტირება გაუკეთა და გამოსაცემად მოამზადა ნაშრომი. მასვე ეკუთვნის შესავალი, სადაც მოთხრობილია ე. გარაყანიძესთან ურთიერთობის ისტორია, გადმოცემულია მისი თვალთახედვა კრებულის შესახებ. ასევე დიდი წვლილი მიუძღვის იოსებ ჟორდანიას, რომელმაც თითოეულ სიმღერას თან დაურთო ქართული ტექსტის თარგმანი და კომენტარი.



კრებულში მოთავსებულია ედიშერ გარაყანიძის წინასიტყვაობა, რომელშიც უცხოელს ზოგადი შთაბეჭდილება შეექმნება საქართველოზე: საუბარია საქართველოს ისტორიაზე, გეოგრაფიულ თავისებურებებზე, ქართულ ენასა და კულტურაზე; ძალზე ლაკონიურად და ამავე დროს მრავლისმომცველად დახასიათებული ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედება. ცალცალკეა მიმოხილული ვოკალური და საკრავიერი, გლეხური და ქალაქური, საერო და საეკლესიო მუსიკა; საუბარია შესრულების წესზე, ფორმასა და მანერაზე. დახასიათებულია ქართული ხალხური სიმღერების კილოები, აკორდიკა, ჟანრები. ერთმანეთსაა შედარებული აღმოსავლურქართული და დასავლურქართული მუსიკალური დიალექტები. კრებულში შესულია როგორც მე-19-20 საუკუნის მიჯნაზე, ისე 90-იან წლებში სხვადასხვა ქართველი ფოლკლორისტების მიერ შეგროვებული გამოქვეყნებული და გამოუქვეყნებელი სიმღერები. ისინი დიდი გემოვნებითაა შერჩეული და, რაც მთავარია, თითქმის ყველა ქართული დიალექტია წარმოდგენილი. ამას გარდა, შესულია საგალობლებისა და ქალაქური სიმღერის ნიმუშები. შემსრულებლებისათვის ტექსტის სწორად წარმოთქმისათვის მოცემულია სხვადასხვა ასობგერის გამოთქმის სპეციალური დამხმარე ტაბულა. კრებულს თან ახლავს დისკოგრაფიაც, სადაც უცხოელს საშუალება ეძლევა, გაეცნოს ამა თუ იმ ქართულ ანსამბლს და სურვილისამებრ სხვადასხვა სიმღერის შესახებ ცოცხალი მუსიკალური შთაბეჭდილება შეექმნას.

„99 ქართული სიმღერა“ პირველი კრებულია, რომელიც სპეციალურად უცხოელი შემსრულებლებისათვის მომზადდა. იგი ნამდვილი საჩუქარია ქართული სიმღერით დაინტერესებული მოყვარული თუ პროფესიონალი მუსიკოსისათვის.

ოთარ კაპანაძე



საქართველოს ეთნომუსიკა - 2004 წელი

იანვარი: კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში ჩატარდა „ანჩისხატის ტაძრის გუნდისა“ და „ძველი კილოების“ სოლო კონცერტი სახელწოდებით „მამები და შვილები“, რომელშიც აღნიშნულ გუნდებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულმა ხანდაზმულმა შემსრულებლებმა.

თებერვალი: ქალთა ფოლკლორულმა ანსამბლმა „მზეთამზემ“ მოაწყო საკონცერტო ტურნე და სიმღერის გაკვეთილები (work-shop) ინგლისსა და ფინეთში.



მარტი: ტმპსც-ის თანამშრომლებისათვის „ქართული პოლიფონიის დაცვისა და განვითარების“ იშნმსკ(ს)ს პროგრამის ფარგლებში ჩატარდა ტრენინგები: აუდიო-ჩანაწერების რესტავრაციის საფუძვლებსა და CD-ზე გადატანაში; კომპიუტერთან მუშაობისა და პროგრამების შესწავლაში; აუდიო-ვიზუალური ტექნიკის გამოყენებაში; საარქივო-ინვენტარიზაციის საქმის საფუძვლების შესწავლაში. ანსამბლმა „ბასიანმა“ ოპერისა და ბალეტის თეატრში გამართა ზ. გამსახურდიას დაბადების დღისადმი მიძღვნილი კონცერტი.

აპრილი: სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ანსამბლმა „ფესვებმა“ გამართა სოლო კონცერტი კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში.

ტმპსც-მა მოაწყო ფოლკლორული ექსპედიცია ოზურგეთში (გურია).

მაისი: მოეწყო „ანჩისხატის ტაძრის გუნდისა“ და „ძველი კილოების“ საკონცერტო ტურნე გერმანიაში;

ანსამბლებმა „ბასიანმა“ და „ფესვებმა“ იმოგზაურეს საბერძნეთში საქართველოს კათალიკოს-პატრიარქთან ერთად და ათონის მთაზე ქართველთა მონასტერში ჩაატარეს ღვთისმსახურება ქართულ ენაზე;

ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა „რუსთავმა“ საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით სამი სოლო კონცერტი მოაწყო სახელმწიფო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში;

ქალთა ფოლკლორულმა ანსამბლმა „თუთარჩელამ“ მონაწილეობა მიიღო „რუსთავის საგუნდო ფესტივალში“.

ივნისი: ეთნოგრაფიულ „მუზეუმში“ ღია ცის ქვეშ გაიმართა ფოლკლორული ფესტივალი „არტ-გენი“, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სხვადასხვა კუთხეების ფოლკლორულმა კოლექტივებმა და მომღერალმა ოჯახებმა, ასევე ანსამბლებმა „ლაშარმა“ და „თუთარჩელამ“;

ანსამბლმა „ლაშარმა“ გამართა სოლო კონცერტი კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში; აქვე მოეწყო ამ ანსამბლის კომპაქტ-დისკის პრეზენტაცია;

ჩატარდა ანსამბლ „ბასიანის“ სოლო კონცერტი კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში;

გაიმართა ანსამბლ „უნივერსიტეტის“ სოლო კონცერტი სახელმწიფო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში;

მოეწყო „ანჩისხატის ტაძრის გუნდისა“ და „ძველი კილოების“ საკონცერტო ტურნე ლატვიაში; შედგა ანსამბლ „თბილისის“ საკონცერტო ტურნე პოლანდიასა და შვედეთში: პოლანდიაში ანსამბლმა მონაწილეობა მიიღო „როტარ-კლუბის“ 100 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო კონცერტში; შვედეთში – საგუნდო მუსიკის ახალგაზრდულ ფესტივალში.

ივლისი: ქალთა ფოლკლორულმა ანსამბლმა „მზეთამზემ“ მონაწილეობა მიიღო „ბურღონული მრავალხმიანობის ფესტივალში“ ლატვიაში;

ანსამბლ „უნივერსიტეტის“ მიერ გამოიცა 2 კომპაქტ-დისკისაგან შემდგარი კომპლექტი სახელწოდებით „მიწა და ზეცა“. ამავე ანსამბლმა მონაწილეობა მიიღო კლასიკური მუსიკის ფესტივალში ნიუ-პორტში (აშშ).

ტმპსც-მა მოაწყო ფოლკლორული ექსპედიცია ლენტეხი-ცაგერის რაიონებში (ქვემო სვანეთი-ლენხუმი).

აგვისტო: ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლ „რუსთავის“ მომღერალთა ჯგუფმა მონაწილეობა მიიღო პოლიფონიური მუსიკის ფესტივალში ავსტრიაში.

სექტემბერი: თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში საქართველოს პრეზიდენტის პატრონაჟითა და იშნმსკ(ს)ს ეგიდით ჩატარდა ტრადიციული მრავალხმიანობის მეორე საერთაშორისო სიმპოზიუმი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს როგორც ქართველმა, ისე უცხოელმა მეცნიერებმა. სიმპოზიუმის პირველივე სამუშაო დღეს მოეწყო 2002 წელს გამართული ტრადიციული მრავალხმიანობის I საერთაშორისო სიმპოზიუმის მოხსენებათა კრებულის პრეზენტაცია. სამეცნიერო სესიების პარალელურად კონსერვატორიის მცირე და დიდ დარბაზებში ტარდებოდა კონცერტები, რომლებშიც მონაწილეობდნენ საქართველოში მოქმედი ანსამბლები: „ანჩისხატის ტაძრის გუნდი“, „ბასიანი“, „რუსთავი“, „თუთარჩელა“, „მთიები“, „ხედაშე“, „დიოსკურია“, „წოვათა“, „ჰე ამო“ (ლაზეთი); უცხოური საშემსრულებლო კოლექტივები: ტრიო „მკუჯი“ (აშშ), „მასპინძელი“ (დიდი ბრიტანეთი), „მზე შინა“ (საფრანგეთი), „გორანი“ (ავსტრალია), „სკოლა კანტორუმ ბრაზანტე“ (ნიდერლანდები), „ზარი“ (კანადა); საქართველოს საზღვრებს გარეთ მცხოვრები ქართველი შემსრულებლები: ანსამბლები – „ლაზარე“ (საინგილო – აზერბაიჯანი), ბიროლ თოფალ-ოღლუ თურქეთის ლაზეთიდან, დუეტი ფერეიდინიდან (ირანი); აგრეთვე საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები უცხო ეთნიკური ჯგუფების

წარმომადგენლები: „ახნაში“ (ჩეჩნები პანკისის ხეობიდან), ოსური ანსამბლი ლაგოდების რაიონიდან, ოსი ელზა დუდაევა; ყველა ამ კოლექტივის მონაწილეობით მოეწყო კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში სიმპოზიუმის სახეიმო დახურვა და გალა კონცერტი.

სიმპოზიუმის შემდგომ გურიაში ჩატარდა ქართული ხალხური სიმღერის საერთაშორისო ფესტივალი „ჩვენ მშვიდობა“, რომელზეც მრავალფეროვან საკონცერტო პროგრამასთან ერთად მოეწყო ქართული ხალხური სიმღერის საერთაშორისო ცენტრის მიერ ამ ფესტივალისადმი მიძღვნილი წიგნების, სანოტო კრებულებისა და აუდიო-გამოცემათა პრეზენტაცია. კერძოდ: მონოგრაფია ქართული საგალობლების ერთ-ერთი დეპლმოსილი შემგროვებლისა და ჩამწერის – ფილიმონ ქორიძის შესახებ სერიიდან „ქართული გალობის ამაგდარნი“; ნარკვევები სამ წიგნად სერიიდან „ქართული ხალხური სიმღერის დიდოსტატები“; გურული სიმღერების ორი სანოტო კრებული; ათი კომპაქტ-დისკო უძველესი გურული ხალხური სიმღერებისა და საგალობლების ჩანაწერებით (მათ შორის სასწავლო დანიშნულებისა); გაიხსნა საგალობლის მუზეუმი ოზურგეთის რაიონის სოფელ ცხემლისხიდში; ოზურგეთში გაიხსნა ფილიმონ ქორიძის ძეგლი.

ფესტივალის დახურვის დღეს ქალაქ ურეკში გაიმართა გალა-კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ ტრადიციული მრავალხმიანობის II საერთაშორისო სიმპოზიუმზე ჩამოსული ქართული ხალხური სიმღერის შემსრულებელი უცხოური კოლექტივები და ანსამბლები საქართველოდან: „ანჩისხატი“, „ბასიანი“, რუსთავი“, ბათუმის მ. კუხიანიძის სახელობის სახელმწიფო ანსამბლი, ანსამბლი „ბათუმი“, სახელმწიფო ანსამბლი „გურია“, მომღერალთა გუნდი ოზურგეთიდან, საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი „ქუთაისი“, ანსამბლი „რიპო“ სვანეთიდან, ონის ფოლკლორული ანსამბლი „რაჭა“, ზუგდიდის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი „ჩელა“, ზუგდიდის მომღერალთა გუნდი „ოდოია“;



ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა „რუსთავმა“ მონაწილეობა მიიღო ნიუ-იორკში გამართულ ფესტივალში სახელწოდებით „მსოფლიო მუსიკა“;

ქალთა ფოლკლორულმა ანსამბლმა „მხეთამხემ“ მონაწილეობა მიიღო კლასიკური რადიოს ფესტივალში (Cla-Ra) ბელგიაში;

ანსამბლმა „უნივერსიტეტმა“ მონაწილეობა მიიღო ხალხური მუსიკის ფესტივალში კუნძულ კორსიკაზე;

ფოლკლორულმა ანსამბლმა „ქართველებმა“ ჩაწერა კომპაქტ-დისკო;

გერმანელმა რეჟისორმა რუდ ოლშენმა საქართველოში გადაიღო ფილმი „სამყაროთა შორის“, რომელშიც მონაწილეობა მიიღო რამდენიმე ქართულმა ანსამბლმა, მათ შორის, „ლაშარმა“ და „თუთარჩელამ“.

ჩატარდა ტრადიციული მუსიკალური ფესტივალის „შემოდგომის თბილისის“ ფოლკლორული საღამო. კონცერტზე გამოვიდნენ ანსამბლები: „ერა“, „ზარები“ და ხალხურ საკრავთა ანსამბლი „ხორუმი“.

ტმსსც-მა მოაწყო ფოლკლორული ექსპედიცია თელეთგორში (ქართლი).

ოქტომბერი: ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლ „რუსთავის“ მომღერალთა ჯგუფმა ჩაატარა სოლო კონცერტი ვენის „კონცერტ-ჰაუსში“; ამავე ანსამბლმა თბილისის დღესასწაულზე გამართა ორი სოლო კონცერტი თბილისის სახელმწიფო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ანსამბლმა „ფესვებმა“ გამართა სოლო კონცერტი ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში სახელწოდებით: „ფესვები“ და მეგობრები“.

ანსამბლმა „ფესვებმა“ ჩაწერა კანონიკური ქართული საგალობლების აუდიო კასეტა სვეტიცხოვლის ტაძრის გუნდთან ერთად;

18 ოქტომბერს კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში ჩატარდა ფოლკლორული საღამო და პროექტის „ჩვენებურები“ პრეზენტაცია. ორგანიზატორები იყვნენ ასოციაცია „ქართული კულტურა საქართველოში და მის საზღვრებს გარეთ“ (პრეზიდენტი გ. ალასანია), ქართული ხალხური სიმღერის საერთაშორისო ცენტრი და ტმსსც. კონცერტზე თურქეთიდან ჩამოსულ ბაიარ შაქინთან (გუნდარბიძე) ერთად იმღერეს „ანჩისხატის ტაძრის გუნდმა“ „მხეთამხემ“, „ბასიანმა“ „ფესვებმა“ და სხვ.

ნოემბერი: თბილისში წმ. სამების საკათედრო ტაძრის კურთხევასთან დაკავშირებით ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გაიმართა გალა-კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ქართული ხალხური სიმღერებისა და საგალობლების შემსრულებელმა ყველა ცნობილმა კოლექტივმა.

ანსამბლ „ფესვების“ 6 წევრმა, რომლებიც გალობენ სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში, მონაწილეობა მიიღო კიევში გამართულ მართლმადიდებლური ქვეყნების საგალობელთა I საერთაშორისო ფესტივალში;

სახელმწიფო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში ჩატარდა საერთაშორისო ფესტივალი „ჩვენებურები“, რომელიც მოეწყო საქართველოს საპატრიარქოსა და ასოციაცია „ქართული კულტურა საქართველოში და მის საზღვრებს გარეთ“ თაოსნობით. მასში მონაწილეობა მიიღეს ახერბაიჯანიდან, თურქეთიდან, ირანიდან, ისრაელიდან მოწვეულმა ქართველებმა, ასევე ცნობილმა ქართულმა კოლექტივებმა: „მხეთამხემ“, „ფესვებმა“, „თუთარჩელამ“ და სხვა.

დეკემბერი: გაიმართა ანსამბლ „უნივერსიტეტის“ სოლო კონცერტი სახელმწიფო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში; ამ კონცერტზე ანსამბლს ოფიციალურად „ქართული ხმები“ ეწოდა.

მაკა ხარძიანი

ფოლკლორული ექსპედიცია დმანისის რაიონში

(სვანური მოსახლეობა
ქვემო ქართლში)

2003 წლის დეკემბერში ხალხური მრავალხმიანობის საერთაშორისო ცენტრის მიერ მოეწყო ფოლკლორული ექსპედიცია დმანისში მესტიის რაიონიდან (ჭუბურის ხეობიდან) 1988 წელს მომხდარი სტიქიური უბედურების შედეგად ჩამოსახლებულ სვანებთან.

ექსპედიციას ხელმძღვანელობდა ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების კათედრის დოცენტი, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი ნატო ზუმბაძე, ექსპედიციის წევრები იყვნენ კონსერვატორიის მუსიკისმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტები: ოთარ კაპანაძე, ნინო ნადირაშვილი, თეონა რუხაძე და ტექნიკური ოპერატორი ლაშა მარტაშვილი.

დეკემბრის ბოლო დღეებში სუსხიან დმანისში ჩასულებს დმანისელი სვანების სახით თბილი და სტუმართმოყვარე მასპინძლები დაგვხვდნენ.

ჟივლენ ჩხეტიანის (64 წ.), ნიკოლოზ პაკელიანის (70 წ.), გურამ ჩხვიმიანისაგან (50 წ.), ჩავიწერეთ მნიშვნელოვანი სიტყვიერი ინფორმაცია სვანეთში დღემდე შემორჩენილი თუ უკვე დავიწყებული სხვადასხვა წეს-ჩვეულების შესახებ.

დმანისელი სვანების თქმით, ძველი რიტუალებიდან მათ ყოფაში ყველაზე მეტად „ლამპრობა“, იგივე „ლიმპარია“ შემორჩენილი. „ლამპრობა“ მოძრავი დღესასწაულია. მისი ჩატარების დრო ახალ მთვარეზეა დამოკიდებული და თითქმის ყოველთვის თებერვლის შუა რიცხვებს ემთხვევა. დღესასწაულის წინა დღეს თითოეული მამაკაცის სახელზე ხისგან ამზადებენ ლამპრებს (ჩირაღდნებს). გათენებამდე მამაკაცებს ანთებული ლამპრები მიაქვთ წმინდა გიორგის სალოცავისკენ, სადაც ღოცვასა და წმინდა გიორგის საგალობელ „ჯგრაგიშს“ ამბობენ.

მის შემდეგ რიტუალი გრძელდება გარეთ, კოცონის გარშემო, სხვადასხვა საგალობლისა და ფერხულის თანხლებით. დმანისელი სვანები



ფიქრობენ, რომ „ლამპრობის“ აღნიშვნა დღეს უფრო სიმბოლურია და ძველებური დატვირთვა აღარ აქვს. მათ ლეგენდაც გვიამბეს ამ დღესასწაულის წარმოშობის შესახებ. თუმცა ქართულ ეთნოგრაფიასა და ეთნომუსიკისმცოდნეობაში ცნობილია, რომ ეს რიტუალი წარმოშობით წარმართული ხანიდან იღებს სათავეს.

ვახტანგ და ჟივლენ ჩხეტიანისაგან ჩავიწერეთ საგულისხმო ცნობები „კალანდის“ ღამეს „მეკვლეობისა“ და „ხელის გახსნის“ ჩვეულებაზე. „გა“-სა და „ელიასადმი“ მიძღვნილ ამინდის მართვის რიტუალებზე. ეთნოფორებმა ვრცლად მოგვითხრეს მიცვალებულთა სულის მოსახსენიებელი ციკლის „ლიფანალის“ შესახებ; აღნიშნეს, რომ სვანეთში არსებობდა ქალთა რიტუალი „ბარბოლი“ („ბარბალი“), ბავშვთა თამაშობა „ბომბლა“, თეატრალიზებული სანახაობა „უღლაშობა“. ახსენეს დღეს უკვე დაკარგული ფერხულები: „მირმიქელა“, „ჯანგულაში“, „შგარიდა“.

მიშა ცინდელიანისაგან (58წ.) ექსპედიციამ ჩაიწერა საჭუნირე ჰანგები („მირანგულა“, „ლაჟღვაში“, „ვიცბილ-მაცბილ“ და სხვა). ჭუნირისა და ჩანგის დამზადებისა და შენახვის წესები, ლეგენდები ამ ინსტრუმენტების წარმოშობის შესახებ.

ექსპედიციამ სვანი ქალებისგან ჩაიწერა ბავშვთა ინფექციური დაავადებების დროს სათქმელი გამოლოცვები (79 წლის ნათელა

გვარნიანისაგან), აკვნის ნანები (64 წლის მარია ამ კორძიასაგან და 38 წლის მაისო სუბელიანისაგან) და სხვა (სვანური თუ სხვადასხვა კუთხის) სიმღერები.

მამაკაცთა რეპერტუარი ჩავიწერეთ ანსამბლ „შგარიდასაგან“, რომელიც ასრულებს ანსამბლის ხელმძღვანელის გურგენ გურჩიანის მიერ აღდგენილ უძველეს საგალობლებსა და სიმღერებს. გურგენ გურჩიანმა 1985-1998 წლებში მოიარა სვანეთი და უხუცესი მომღერლების გიერგ ფირცხელანის, მაქსიმე გვარლიანის, უკა და სეფე ვეზდენებისა და სხვათაგან ჩაიწერა საგალობლების ცალკეული ხმები, რომელთა საფუძველზეც აღადგინა აღნიშნული ნიმუშები.

ანსამბლმა „შგარიდა“, 2004 წლის იანვარში, თბილისის კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში გამართა კონცერტი რომელზეც შესრულდა გ. გურჩიანის მიერ აღდგენილი საგალობლები: „ო, ქრისტეში“, „ცხაუ ქრისტეში“, „ყაიოსუმა“, „გა“, „ზაშინაგა“ და სხვა.

ღმანისეფ ეთნოფორებთან ექსპედიციის წევრების მეგობრობა დღესაც გრძელდება.

თეონა რუხაძე

ფოლკლორული ექსპედიცია ოზურგეთის რაიონში (გურია)

ტმძსც-მა ქართული ხალხური სიმღერის საერთაშორისო ცენტრთან ერთად 2004 წლის 26-30 აპრილს იუნესკოს პროგრამის ფარგლებში ექსპედიცია მოაწყო გურიაში, ოზურგეთის რაიონში. მეცნიერთანამშრომლებს ნინო კალანდაძეს, თინათინ ჟვანიას, ქეთევან მათიაშვილს, ლელა მაქარაშვილს, ახლდენ კონსერვატორიის სტუდენტები მიხეილ ჯავახიშვილი, ნინო ნადირაშვილი და ნინო ნიკოლეიშვილი.

გურული მუსიკალური დიალექტი კონსერვატორიის ფოლკლორის კათედრის სამეცნიერო მუშაობაში ყოველთვის განსაკუთრებული დაკვირვების ობიექტს წარმოადგენდა. 1949 წელს ვლადიმერ ახოზაძის მიერ ოზურგეთის რაიონში ცნობილი გურული მომღერალ-მგალობლებისაგან (არტემ ერქომაიშვილი, ვარლამ



სიმონიშვილი, დიმიტრი პატარავა) უძველესი 11 გურული საგალობელი იქნა ჩაწერილი. 1959 წელს კახი როსებაშვილმა (1930-1988) ჩოხატაურის რაიონში ქართული ჩასაბერი საკრავის უძველესი სახეობის მრავალღერძიანი სალამურის (გურიაში ეძახიან „სონინარს“) დასაკრავები და გურული შრომის სიმღერა „ყანური“ ჩაიწერა. 1960 წელს ვლადიმერ ახოზაძემ ლანჩხუთის რაიონში 30, ჩოხატაურში 15, ოზურგეთში 50 სასიმღერო ნიმუშის დაფიქსირება შეძლო (მათ შორის უმეტესობა შრომის სიმღერებია). 1963 წელს ოზურგეთის რაიონის სოფელ ლიხაურში გრიგოლ ჩხიკვაძემ (1900-1986) ჩაიწერა 25 სიმღერა. 1964 წელს ოთარ ჩიჯავაძემ (1919-1998) ლანჩხუთის რაიონში 80, ჩოხატაურში 23 და ამავე რაიონში 1965 წელს 80 სასიმღერო ნიმუში მოიპოვა. 1965 წელს თბილისის კონსერვატორიაში ძველი გურული საგალობლების რესტავრაციის მიზნით ოზურგეთის რაიონის სოფელ მაკვანეთიდან ჩამოყვანილი იქნა უძველესი გურული გალობის საუკეთესო მცოდნე, ასევე ცნობილი ლოტბარი, არტემ ერქომაიშვილი, რომლისგანაც 105 საგალობლის სამივე ხმა ჩაიწერეს. 1970-იან წლებში გურული სასიმღერო ნიმუშების ჩასაწერად მინდია ჟორდანიასა (1929-1978) და კუკური ჭოხონელიძის (1940-2004) მიერ არაერთი ექსპედიცია იქნა მოწყობილი გურიაში და აჭარაში (ქობულეთსა და ბათუმში). 1990 წელს ედიშერ გარაყანიძის (1957-1998) ხელმძღვანელობით ჩოხატაურის რაიონში მოეწყო ექსპედიცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო გერმანელმა ეთნომუსიკისმცოდნემ სიუზან ციგლერმა.

2004 წლის აპრილის მოკლევადიანი ექსპედიციის მიზანი იყო სტუმრობა სოფელ ლიხაურის მკვიდრთან, გურული სასიმღერო ტრადიციების საუკეთესო მცოდნესთან, 77 წლის კარლო ურუშაძესთან. განსაკუთრებული ინტერე-

სის საგანს გურული საჩონგურო რეპერტუარის ჩაწერა წარმოადგენდა, რაც წარმატებით განხორციელდა. ჩავიწერეთ დღესდღეობით გურიაში გავრცელებული საჩონგურო წყობების შესაბამისი ნიმუშები.

სამ შესანიშნავ მომღერალს კარლო ურუშაძეს, გური სიხარულიძესა (73წ.) და ვალერიან ბერიშვილის (87წ.) ასეთი შემადგენლობით პირველად უწევდათ მღერა, მაგრამ უამრავი ძველი სიმღერის გაცოცხლება შეძლეს. მათ შორისაა: „ჩვენ მშვიდობა“, „მე რუსთველი“, „კალოს ხელხვავი“, „მრავალჟამიერი“, „პატარა საყვარელი“, „წამოკრული“, „შავი შაში“.

ოზურგეთისა და ჩოხატაურის სამხარეო მუზეუმებიდან მოპოვებული იქნა საარქივო ფონო-, ფოტო- და ვიდეომასალები ძველი ლოტბარებისა და მგალობლების შესახებ.

თინათინ ჟვანია

ფოლკლორული ექსპედიცია ლენტეხი-ცაგერის რაიონში (სგანეთი-ლენჩხუმი)

ტმკსც-მა იუნესკოს პროგრამით გათვალისწინებული პროექტის ფარგლებში 2004 წლის ზაფხულში (16 ივლისი – 4 აგვისტო) მოაწყო ექსპედიცია ლენტეხსა და ცაგერში. ექსპედიციის წევრები იყვნენ ცენტრის თანამშრომლები: კონსერვატორიის კათედრის პედაგოგი მალხაზ ერქვანიძე და ფოლკლორის კაბინეტის გამგე ქეთევან მათიაშვილი. ამ ხნის განმავლობაში მოვიარეთ ლენტეხის რაიონის რამდენიმე სოფელი: კახურა, თეკალი, ხოფური, ცანა და ხელედი.

პირველივე დღეს დაბა ლენტეხში მცხოვრები 62 წლის ეთერ (შურა) ლიპარტელიანისგან ჩავიწერეთ 10-მდე სიმღერა ჭუნირის თანხლებით.

ჩოლურის თემში შემაგალი სოფლების მკვიდრთაგან შედგება 90-ან წლებში შექმნილი მამაკაცთა ანსამბლი „მიჟე ნარი“ („მზის ნათელი“), რომლის წევრები არიან: ვასო ბაბლუანი, ვახტანგ მუკბანიანი (47 წ.), ვალოდია ბაბლუანი (48 წ.), მამუკა მუკბანიანი (22 წ.), გერასიმე ზურაბიანი (15 წ.) და დავით მუკბანიანი (41 წ.). ანსამბლის დამაარსებელი და ხელმძღვანელი ჯუმბერ მუკბანიანი (74 წ.) თავის დროზე ლენტეხის რაიონის სიმღერისა

და ცეკვის სახალხო ანსამბლის წევრი ყოფილა (ხელმძღვანელი – საქართველოს დამსახურებული არტისტი ჯოკია მეშველიანი). ამ ჯგუფს შევხვდით თეკალში, ბატონი ჯუმბერის ოჯახში. აღსანიშნავია, რომ მეუღლის გარდაცვალების გამო მგლოვიარედ მყოფი ოჯახის უფროსმა ორი წლის განმავლობაში პირველად იმღერა და ამით ჩვენი საქმიანობის მნიშვნელობას გაუსვა ხაზი. ჩავიწერეთ 7 სიმღერა, ამას გარდა, ვიდეოკამერით გადავიღეთ ფერხულებისა და ცეკვების ფრაგმენტები. აღსანიშნავია, რომ საშუალო და ხანდაზმული ასაკის მომღერლების გვერდით დგანან ახალგაზრდები და მშობლიური სამუსიკო ფოლკლორის მიმართ დიდ ინტერესს იჩენენ.

გავესაუბრეთ, აგრეთვე, ნანა ზურაბიანს (34 წ.), რომელმაც ბებისგან გაგონილი, ნადირისაგან საქონლის დასაცავი შელოცვა გაიხსენა. 75 წლის სარა შავრიშიანმაც რამდენიმე შელოცვა გვითხრა.

ხოფურში ვეწვიეთ 74 წლის შოთა ქურასბედიანის ოჯახს. სახელდახელოდ შეკრებილი მცირე, ოთხკაციანი ჯგუფის (ბატონი შოთა, ბორის გუგავა, ამირან და გულად ლიპარტელიანები – ადრე ოთხივენი ბატონი ჯოკიას ანსამბლში მღეროდნენ) მიერ შესრულებული 5 სიმღერა ჩავიწერეთ. საინტერესოა, რომ „წმინდაო ღმერთოს“ ქვემოსვანური ვარიანტი (ეს საგალობელი თბილისის ვაჟთა სამგალობლო ანსამბლებში პოპულარობით სარგებლობს) და „ალილო“ მხოლოდ ქართულ ენაზე იმღერება.

ხელედში ქარდავების ოჯახს ვესტუმრეთ. 83 წლის შალვამ და მისმა მეუღლემ, მაგრაფი ჩარქსელიანმა რამდენიმე სიმღერა გაჭირვებით გაიხსენეს. აქვე შევხვდით სოფლის „სტაროსტას“ – 72 წლის ჯამბულ გაზდელიანს, რომლისგანაც 3-4 სასიმღერო და საკრავიერი ნიმუში (იგი კარგად უკრავს ჭუნირზე) ჩავიწერეთ. მოგვიბოდიშა – მეტს ვერ ვიტყვი, დეიდაჩემს ვგლოვობო.

ლენტეხში ვესტუმრეთ ჯოკია მეშველიანის მეუღლეს, ქალბატონ ციალა გურაბანიძეს, რომელმაც გულთბილად მიგვიღო და საოჯახო არქივში დაცული მასალები გაგვაცნო.

ჩვენ საშუალება გვქონდა, ორი დღის განმავლობაში ლენტეხის კულტურის სახლში (დირექტორი – გელა გუგავა) დავსწრებოდით რაიონის სოფლების კულტსახლებთან არსებული ანსამბლების დათვალიერებას. დათვალიერებამ ერთობ სავალალო და საგანგაშო მდგომარეობა გამოავლინა – მონაწილეები ტრადიციული ფოლკლორის მატარებლები აღარ არიან; მათი მწირი და ხშირად განმეორებადი



რეპერტუარი, სავალდებულოდ ქცეული ერთი-ორი პოპულარული სასიმღერო ნიმუშის გარდა („გოგოგო, გოგოგო შავთვალა“ და „შავლეგო“), შემოიფარგლება მდარე გემოვნების საფანდურო კუპლეტებით.

რაც შეეხება ცაგერის რაიონს, მუშაობა საკუთრივ რაიონულ ცენტრსა და ახლომდებარე სოფელ ჩხუტელში მოვახერხეთ. გავიცანით ცაგერის კულტსახლთან არსებული ჯგუფი ზაზა ყურაშვილის ხელმძღვანელობით (წევრები: თამაზ კოპალიანი, სოზარ ბენდელიანი – ანსამბლ „რუსთავის“ ყოფილი წევრი, აღექსანდრე გოგიძე). მათგან 8 ლეჩხუმური სიმღერა და კიდევ რამდენიმე სხვა კუთხის ნიმუში მოვისმინეთ.

ხანდაზმულთა ანსამბლ „ლეჩხუმთან“ შეხვედრამ დიდად გაგვახარა. გუნდი, რომელსაც 79 წლის რაფიელ კოპალიანი ხელმძღვანელობს, დაარსდა 1974 წელს. იგი მემკვიდრეა ძველი „სალხინოსი“, რომელსაც ბატონ რაფიელის მამა, დავით კოპალიანი ედგა სათავეში. „სალხინოს“ წევრთაგან ახლა არცერთი აღარ არის ცოცხალი (ეს ანსამბლი 1967 წელს კონსერვატორიის პროფესორმა გრიგოლ ჩხიკვაძემ ჩაიწერა).

„ლეჩხუმის“ ექსკაციანი ჯგუფის წევრების (75 წლის გუჯა ჩაკვეტაძე, 74 წლის გრიგოლ ბენდელიანი, 76 წლის ჯუმბერ სალინაძე, 68 წლის ვილგელმ კოპალიანი, 74 წლის ოთარ სალინაძე) მიზანი საკუთრივ ლეჩხუმური სიმღერების გადარჩენა და მათი მომავალი თაობებისთვის შემონახვაა. საოცარი ამბავი მოხდა: შვილის გარდაცვალების გამო რვა წლის განმავლობაში დადუმებული ბატონი რაფიელი ამღერდა – საქმეს ასე სჭირდებაო! მათი შესრულებით 32 სიმღერა დავაფიქსირეთ.

ცაგერის გვერდით მდებარე სოფელ ჩხუტელის მომღერლებმა (68 წლის შალვა კვირიკაშვილი, 73 წლის ომარ ახვლედიანი, 63 წლის ჯემალ თვარაძე, 72 წლის შალვა სვანიძე, 70 წლის

დავით სვანიძე და 67 წლის გრიგოლ მეშველიანი) 8 სასიმღერო ნიმუშის გახსენება შეძლეს.

ექსპედიციაში ყოფნის დროს მოვიპოვეთ ვიდეომასალაც (ლენტეხის სიმღერისა და ცეკვის სახალხო ანსამბლი – დაახლ. 70-იანი წლების ჩანაწერი; „მიჟე ნარი“, „ლეჩხუმი“), რომლებიც ტმპსც-ის არქივში იქნება დაცული.

ვფიქრობთ, აღნიშნულ ექსპედიციას ნაწილობრივ დაზვერვითი ხასიათი ჰქონდა. „მომღერალ სოფლად“ ცნობილ ხელედში (და არა მარტო აქ) იმედები გაგვიცრუვდა. უამრავი ადამიანი შინ არ დაგვხვდა – სათბობი იყვნენ წასულები. მრავალი წლის გამოცდილებამ დაგვანახა, რომ ზაფხული ფოლკლორული ექსპედიციების მოსაწყობად არახელსაყრელი სეზონია. კალენდარული სამეურნეო სამუშაოების გამო (თიბვა, მთიდან საშემოდგომოდ საქონლის ჩამორეკვა, შეშის დამზადება და სხვა) ხშირ შემთხვევაში ეთნოფორების თავმოყრა შეუძლებელი ხდება; კახურაში ერთადერთი მოსახლე, ძველი ტრადიციების მცოდნე, შინ არ დაგვხვდა; ხოფურში ხელმეორედ ასვლა და ქალებთან გასაუბრება უტრანსპორტობის გამო ვეღარ შევძელით (სამწუხაროდ, ქალთა ფოლკლორული ნიმუშების დაფიქსირება ამჯერად ვერ მოვახერხეთ, რაც ჩვენი ექსპედიციის ერთ-ერთ ნაკლად მიგვაჩნია). არაერთი ადამიანის გვარი და მისამართი ჩავინიშნეთ და მათთან შეხვედრა სამომავლოდ გადავდეთ. ასევე, გვსურდა უშგულელებთან შეხვედრა, თუკი ამის შესაძლებლობა მოგვეცემოდა. ტექნიკური მიზეზების გამო უშგულეში ჩვენი ასვლა ვერ მოხერხდა, ამიტომ გადავწყვიტეთ ცანაში (ლენტეხის რაიონში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი სოფელი) ახლადაშენებული ეკლესიის კურთხევაზე დასწრება, სადაც უშგულიდან წინასწარ შეპირებული მომღერლები უნდა ჩამოსულიყვნენ. ეს შეხვედრაც სამწუხარო შემთხვევის გამო არ შედგა.

ექსპედიციის წევრები მადლობას უხდებიან ყველას, ვინც არ დაიხარა და დახმარება გაუწია მათ: თბილისის სასულიერო სემინარიის სტუდენტს – ბესარიონ ლიპარტელიანს, გულად ლიპარტელიანს, თამაზ კოპალიანს, ზაზა ყურაშვილს. განსაკუთრებული მადლობა ცაგერისა და ლენტეხის ეპარქიის მღვდელს, მამა იოსებს (ნიგურნიანი). მისი მორალური და პრაქტიკული თანადგომა რომ არა, ექსპედიცია ბევრად უფრო მწირი მასალით ჩამოვიდოდა.

ქეთევან მათიაშვილი

ფოლკლორული ექსპედიცია თელათგორში (ქართლი)

2003 წლის მარტში თბილისში გავიცანი 72 წლის მესტვირე ელგუჯა მუხიგულაშვილი. 2004 წლის სექტემბერში მოხერხდა მასთან კასპის რაიონის სოფელ თელათგორში ჩასვლა. ტმპსც-ის მიერ მოწვობილ მოკლევადიან ექსპედიციაში ჩემთან ერთად მონაწილეობდნენ ტმპსც-ის მეცნიერ-თანამშრომელი ლელა მაქარაშვილი და შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელი ელგუჯა დადუნაშვილი. ვიდეომასალა კომპიუტერში დაამონტაჟა პროგრამისტმა გიორგი ცომიაიმ.

ექსპედიციას კონკრეტული მიზანი ჰქონდა: სტვირის დამზადების წესების, დამზადების პროცესის დაფიქსირება და ამ საკრავზე აუღებელი ნიმუშების ჩაწერა. სასიხარულოა, რომ ამასთან ერთად შეკრებილ იქნა საინტერესო სიტყვიერი, ეთნოგრაფიული მასალა, ხალხური რეწვის, სასიმღერო და საცეკვაო ფოლკლორის ნიმუშები.



დღემდე ქართლური უგუდო სტვირი ივანე ჯავახიშვილის, კახი როსებაშვილის, მანანა შილაკაძის, თინათინ ჟვანიას და ქეთევან ნიკოლაძის ნაშრომებით იყო ჩვენთვის ცნობილი. 1998 წელს საგურამოს რაიონის სოფელ ახალსოფელში მცხოვრები გიორგი მიჩნიგაური მსგავს საკრავს ასკილისაგან ამზადებდა. როგორც ცნობილია, ლელის ლერწამი ჩასაბერი საკრავის დასამზადებლად გამოიყენება გურიასა და სამეგრელოში (მრავალდერიანი ლარტყემი-სონიანი), ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს კუთხეებში ცნობილი იყო ამ მასალისაგან დამზადებული საღამური (აღწერილი აქვს დ. არაყიშვილს). ამ თვალსაზრისით, ჩემს მიერ მოძიებული ლელის სტვირი აღმოჩენად შეიძლება მივიჩნიოთ.

სტვირის მასალად გამოიყენება ლელის (*Phragmites Communis Trin*) გამხმარი ღერო. მისი სიგრძე დაახლ. 20-21 სმ-ია, დიამეტრი 0,7-1 სმ., აქვს ათლილი ენა და ექვსი თვალი. საგულისხმოა, რომ ასკილის სტვირის მსგავსად, ზოგჯერ ისიც ორმაგი საკრავის სახით გამოიყენება. ძირითად – თვლებიან ღეროსთან ერთად მესტვირე ჩაბურავს მეორე – ენიან, შედარებით მოკლე უთვლებო ღეროს, რის შედეგადაც ბურღონული ტიპის მარტივი მრავალხმიანი დასაკრავი ყალიბდება.


ბატონ ელგუჯას სტვირზე დაკვრა ბავშვობაში მეზობელ სოფელ ლავრისხევში მწვემისაგან უსწავლია. თვითონ ამ საკრავს ბავშვებისათვის ამზადებს და ყიდის. იყენებს მას, როგორც სასიგნალო საშუალებას. ასრულებს საჭიდაოს, საცეკვოს, ნაცნობი სასიმღერო ნიმუშების საკრავიერ ვერსიებს. მისგან შექმნილ ლელის სტვირებს ბავშვები სასტვენად (საფეხბურთო შეჯიბრისას) და გასართობ სათამაშოდ იყენებენ.

ექსპედიციის მიერ მოძიებული მასალა, რომელიც დაახლოებით ორმოცწუთიანი აუდიო- და ვიდეომასალის სახით არის წარმოდგენილი, ე. დადუნაშვილის მიერ ფრაგმენტების სახით გამოყენებულ იქნა თბილისში, გოეთეს ინსტიტუტში გერმანელ და ქართველ მეცნიერთა თანამშრომლობით განხორციელებული პროექტის პრეზენტაციისას და ტრადიციული მრავალხმიანობის II საერთაშორისო სიმპოზიუმის სხდომაზე მონაცემთა ბაზასთან დაკავშირებული პრობლემების განხილვისას.

საბავშვო სამუსიკო საკრავები ქართულ ეთნომუსიკისმცოდნეობასა და ორგანოლოგიაში თითქმის შეუსწავლელია. არადა, მათი მარტივი კონსტრუქცია და ყოფითი ფუნქცია საკრავიერი მუსიკის გენეზისის კვლევისას უადრესად მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელია.

ნინო კალანდაძე

ევსევი (კუკური) დავითის ძე ჭოსონელიძე



ევსევი (კუკური) დავითის ძე ჭოსონელიძე (1940-2004) – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ქართული ხალხური სამუსიკო შემოქმედების კათედრის გამგე და პროფესორი; ტმმც-ის სამეცნიერო ხელმძღვანელი; ქართული ხალხური სიმღერის საერთაშორისო ცენტრის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე; ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი ფუძემდებელი, პროფესორი; ამავე უნივერსიტეტის ფოლკლორის კომპლექსური კვლევის ლაბორატორიის მუსიკის სექტორის ხელმძღვანელი; ფოლკლორული ფესტივალების საერთაშორისო ორგანიზაციის – CIOF-ის საქართველოს ფილიალის ვიცე-პრეზიდენტი. 60-ან წლებში ანსამბლ „გორდელას“ ერთ-ერთი დამაარსებელი და წევრი, 80-ანი წლებში ანსამბლ „წინანდლის“, ახალი მიმართულების ქართული ფოლკლორული ანსამბლების („მთიები“, „მზეთამზე“, „ანჩისხატი“, „ბასიანი“) კონსულტანტი. ახალგაზრდა შემოქმედთა გაერთიანების ქართული ფოლკლორის თეატრის დამაარსებელი (1994).

ე. ჭოსონელიძე დაიბადა 1940 წლის 13 ივლისს ქ. თბილისში. 1967 წ. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკისმცოდნეობის ფაკულტეტი ქართული ხალხ-

ური მუსიკალური შემოქმედების სპეციალობით; 1970 წ. – კონსერვატორიის ასპირანტურა პროფ. გრიგოლ ჩხიკვაძის ხელმძღვანელობით.

1964 წლიდან მუშაობდა ლაბორანტად, 1970 წლიდან – პედაგოგად, ხოლო 1977 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე – კათედრის გამგედ.

1974 წლიდან იყო საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის ფოლკლორული კომისიის თავმჯდომარე, 1979 წლიდან კი საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის წევრი.

ე. ჭოსონელიძეს დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული ხალხური სასიმღერო ნიმუშების ფიქსირების, ნოტირების, შესრულების, კვლევის, გამოცემისა და პროპაგანდის საქმეში. მისი ხელმძღვანელობით განხორციელებულია ფოლკლორისტული ექსპედიციები რაჭაში, გურიაში, აჭარაში, იმერეთში, კახეთში და სხვა. განსაკუთრებულია მისი დამსახურება ქართული საეკლესიო გალობის აღდგენა-დამკვიდრების საქმეშიც. კომუნისტური იდეოლოგიის ბატონობის წლებში კახი როსებაშვილთან და ანზორ ერქომაიშვილთან ერთად მან მოახერხა გურული სამგალობლო სკოლის უკანასკნელი წარმომადგენლის – არტემ ერქომაიშვილის საგალობლების ჩაწერა, უძველესი ქართული პროფესიული მუსიკის ნიმუშების სცენაზე აღდგენა. კახი როსებაშვილთან ერთად, მას დიდი წვლილი მიუძღვის ქართული სასულიერო მუსიკის მეცნიერული კვლევის დაწყებაში და ფართოდ გაშლაში.

ბატონი კუკური იყო ახალი ქართული ეთნომუსიკისმცოდნეური სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ახალგაზრდა თაობის მრავალი მეცნიერის გზის გამკვალავი. მისი ხელმძღვანელობით კათედრაზე არაერთი სადიპლომო და სადისერტაციო ნაშრომი (როგორც ქართული, ისე არაქართული) მომზადდა. ე. ჭოსონელიძე ებრძოდა მშრალ აღწერითობას მეცნიერებაში. იყო ფართო ინტერესების, პრინციპული და ნოვატორული იდეების დამფასებელი მკვლევარი. მისი სამეცნიერო მოღვაწეობა მოიცავს ქართული ფოლკლორის ისტორიისა და თეორიის თითქმის ყველა ძირითად სფეროს. იყო მრავალი სამეცნიერო ფორუმის მონაწილე და ორმოცამდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი როგორც ქართულ, ისე უცხოურ ენებზე (აქედან 20-ზე მეტი გამოქვეყნებულია თეზისების ან სრული სახით). მას ეკუთვნის ქართული მუსიკის სახელმძღვანელო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის, წარმართავდა ეთნომუსიკოლოგიურ საქმიანობას გამომცემლობაში „ქართული ენციკლოპედია“ (მუშაობდა ქართული ფოლკლორული ლექსიკონისა და ენციკლოპედიური ცნობარის მომზადებაზე).

ე. ჭოხონელიძე იყო ქართული ხალხური სიმღერების სანოტო კრებულების შემდგენელი, ქართული და აფხაზური ხალხური სიმღერების სანოტო კრებულების რედაქტორი, ქართული ხალხური სიმღერების ფონო-ანთოლოგიის შემდგენელი, პრესაში მრავალი სტატიისა და რეცენზიის, ტელე-რადიო გადაცემის ავტორი, კინოსტუდიის კონსულტანტი.

ბოლო პერიოდში მისი ავტორობითა და ხელმძღვანელობით დაიწყო პროექტი „ქართული სამუსიკო ფოლკლორის ნიმუშთა სისტემატიზაცია, კატალოგიზაცია და ჟანრული კლასიფიკაცია“ (ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველო“); გამოიცა „ქართული სამუსიკო დიდი ენციკლოპედია“. მრავალტომეული ანთოლოგიის I ნაწილი – სამეგრელო“ (საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „სობო“), „მზევ, შინ შემოდის!“ – ქართული ხალხური მუსიკა ბავშვებს (ბანკი „რესპუბლიკა“).

გულისხმიერი, თავმდაბალი, საკუთარი თავის მიმართ მომთხოვნი, ბატონი კუკური იყო სიკეთისა და ცოდნის უღვევად გამცემი. მასთან რჩევისათვის მოდიოდნენ არა მარტო სპეციალისტები, მეცნიერები, არამედ მომღერლები, საკრავების ოსტატები, ხალხური შემოქმედებით დაინტერესებული უბრალო ადამიანები. სამოქალაქო ომის უმძიმეს დღეებში იგი კათედრის არქივის დარაჯად (ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით) იღვა. საერთაშორისო ასპარეზზე ქართული ფოლკლორისტული სკოლის დღევანდელი წარმატება მნიშვნელოვანწილად მისი დამსახურებაა. ბატონი კუკური, კათედრის უფროსი თაობის სხვა წარმომადგენლებთან ერთად, წლების მანძილზე თავდადებით, უანგაროდ ემსახურა ეროვნული თვითყოფადობის დაცვის იდეას, ხალხური საგანძურის გადარჩენისა და მეცნიერული შესწავლის საქმეს.

2005 წლის ივლისში ე. ჭოხონელიძეს 65 წელი შეუსრულდებოდა.

ე. ჭოხონელიძის უმნიშვნელოვანეს ნაშრომთაგან დავასახელებდით:

ღიატონურ კილოთა საკითხისათვის ქართულ ხალხურ მუსიკაში. (1973). შავერზაშვილი, ალექსანდრე; თუმანიშვილი, ქეთევან და სხვანი (რედაქლეტორები). შრომების კრებული. თბილისი: თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია. (გვ. 127-143).

ქართული ხალხური სიმღერის კილოური საფუძვლების შესახებ. (1983). შავერზაშვილი, ალექსანდრე (პ/მ რედაქტორი). ქართული ხალხური მუსიკის კილო, მელოდია და რიტმი. სამეცნიერო შრომების კრებული. თბილისი: თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია. (რუსული რეზიუმე). (გვ. 3-30)

ხმათა კოორდინაციისა და პარმონიის ზოგიერთი თავისებურება ქართულ ხალხურ მრავალხმიან (პო-



ლიფონიურ) მუსიკაში. (1988). გაბუნია, ნოდარ, წურწუშია, რუსუდან და სხვანი (რედაქლეტორები). ქართული მუსიკის პოლიფონიის საკითხები. თბილისი: თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია. გვ. 29-42. (ქართ. ენაზე)

Tschochonelidse, Evsevi. (1988). Das Wesen der georgischen polyphonen Volksmusik. Zeitschrift 'Georgica'. Veröffentlichung der Friedrich-Schiller. Vorsitzende des Redaktionskollegiums: Fahrnich, Heinz (Jena) und Lortkipanidse, Mariam (Tbilissi). Universitat Jena und der Staatlichen Georgischen Universitat Tbilissi. Heft 11. (გერმანულ ენაზე)

იმპროვიზაციის ხელოვნება და ქართული პოლიფონიური მუსიკა. (2000). წურწუშია, რუსუდან (პ/მ რედაქტორი). ხალხური მრავალხმიანობის პრობლემები. თბილისის გ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დაარსებიდან 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენციის მასალები. თბილისი: თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია. (გვ. 195-206). (ინგლისური რეზიუმე)

კილოს ცნების ზოგიერთი ისტორიული და თეორიული ასპექტის შესახებ. (2001). წურწუშია, რუსუდან (პ/მ რედაქტორი). სასულიერო და საერო მრავალხმიანობის პრობლემები. ქრისტეშობის 2000 და საქართველოს სახელმწიფოებრიობის 3000 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებები. თბილისი: თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია. (გვ. 304-315). (ინგლისური რეზიუმე)

ქართულ მუსიკალურ-ესთეტიკურ აზროვნებაში თვისებრივი გარდატეხის ერთი მნიშვნელოვანი პერიოდის შესახებ. ტრადიციული მრავალხმიანობის პირველი საერთაშორისო სიმპოზიუმი. (2002). წურწუშია, რუსუდან და ჟორდანიას, იოსებ (რედაქტორები). მოხსენებები. თბილისი: თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი. 2003. (ქართულ-ინგლისურ ენებზე)

ქართული ხალხური მუსიკა. სამეგრელო. (2003). ჭოხონელიძე, კუკური (შემდგენელი). სანოტო კრებული წინასიტყვაობითა და შენიშვნებით. თბილისი: ქართული ხალხური სიმღერის საერთაშორისო ცენტრი და თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი. (ქართულ-ინგლისურ ენებზე).

ნინო კალანდაძე
ნინო ნაკაშიძე

„ანჩისხატის ტაძრის გუნდი“ და ფოლკლორული ჯგუფი „ძველი კილოები“

„ანჩისხატის ტაძრის გუნდი“ და ფოლკლორული ჯგუფი „ძველი კილოები“ – ეს სახელები ქართული მუსიკალური საზოგადოებისათვის კარგა ხანია მუსიკაში მაღალი პროფესიონალიზმისა და გემოვნების სინონიმად იქცა.

ერთიან შემოქმედებით პრინციპებზე სხვადასხვა დროს ჩამოყალიბებული ეს ორი ჯგუფი დღეს აქტიურად თანამშრომლობს. ჩვეულებრივ კონცერტებზე ისინი როგორც ერთი გუნდი, ისე წარდგებიან ხოლმე მსმენელის წინაშე.

80-ანი წლების შუახანებში თბილისის კონსერვატორიაში თავი მოიყარეს საერთო მრწამსის, ინტერესებისა და გემოვნების მქონე ბიჭებმა. მალე ერთი მათემატიკოსიც შეემატათ. მათი მეგობრული თავყრილობების აუცილებელი ნაწილი იყო სხვადასხვა სახის ერთობლივი მუზიციერობა. აქ შეგექლოთ მოგესმინათ ინსტრუმენტული და ვოკალური ჯაზის, კლასიკური საფორტეპიანო შემოქმედებისა და იმდროინდელი კონსერვატორიის ცხოვრებაში განსაკუთრებულ სიახლედ მიჩნეული ქართული ხალხური და სასულიერო მუსიკის ნიმუშები. ძალიან მალე მეგობრული შეხვედრები შემოქმედებითი ჯგუფის ინტენსიურმა და მიზანმიმართულმა შესვედრებმა შეცვალა, სადაც მთავარი ქართული სიმღერა-გალობის შესწავლა გახდა.

ქართული სასიმღერო შემოქმედებით ამგვარი დაინტერესება გამოწვეული იყო იმ ახალი რეალობით, რაც ქართული ხალხური სიმღერის შემსრულებლობაში ანსამბლ „მთიების“ გამოჩენამ განაპირობა.

70-ანი წლების ბოლოს ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდამ, შემდგომში ცნობილმა ფოლკლორისტმა ედიშერ გარაყანიძემ ანსამბლი „მთიები“ ჩამოაყალიბა, რამაც ჭკეშიარტად საეტაპო მნიშვნელობა შეიძინა. „მთიებმა“ საფუძველი დაუდო სცენაზე ეროვნული სამუსიკო შემოქმედების იმგვარად წარმოჩენას, როგორც იგი არსებობდა მისთვის ბუნებრივ ტრადიციულ გარემოში. თვალშისაცემი გახდა სრულიად განსხვავებული საგუნდო უღერადობა, შესრულების მანერა, ცეკვისა და საკრავების გამოყენების ფორმები. „მთიებმა“ სცენაზე გამოიტანა და ხალხს გააცნო მანამდე არსებული ანსამბლების მიერ „დაწუნებული“ სიმღერები.

გლესური ფოლკლორის გაცოცხლება მთავარი დევიზი გახდა ახლადჩამოყალიბებული ჯგუფისთვისაც, რომელსაც ხელმძღვანელობას მალხაზ ერქვანიძე უწევდა. განსაკუთრებული

მნიშვნელობის სიახლეს მათ რეპერტუარში ტრადიციული ქართული საეკლესიო საგალობლის დამკვიდრება წარმოადგენდა.

ისტორიული ავბედითობის გამო საქართველოს საღვთისმშასხურო პრაქტიკიდან განდევნილი და სრულიად იგნორირებული ქართული კანონიკური საგალობლის დაბრუნება ეკლესიისათვის 80-იანი წლების ბოლოს სწორედ ამ ჯგუფის დამსახურებაა.

1987 წლის აღდგომას ბეთანიის მონასტერი ქართული კანონიკური გალობით შეხვდა. ამის შემდეგ ჯგუფმა ანჩისხატის ტაძარში დაიწყო გალობა. მას აქეთ ანჩისხატის ტაძრის გუნდს ბევრის გაკეთება მოუხდა იმისათვის, რომ ქართული კანონიკური გალობის აღდგენა-აღორძინებისათვის მათ მიერ წამოწყებული საქმიანობა წარმატებით გაგრძელებულიყო. გუნდის მაღალმოქალაქეობრივი პოზიციისა და საშემსრულებლო-საგანმანათლებლო მოღვაწეობის შედეგია ის, რომ დღეს ძველი ქართული გალობა არამარტო თბილისში, არამედ მთელ საქართველოში სრულდება.

ქართული გალობის სამსახურში ჩადგომასთან ერთად ანჩისხატის ტაძრის გუნდი კვლავ დიდ ყურადღებას უთმობდა ქართული სიმღერის შესწავლას. უნდა ითქვას, რომ ძველი ქართული სამუსიკო შემოქმედების ეს ორი სფერო გუნდი-



სათვის ყოველთვის თანაბარი ინტერესის და დაკვირვების საგანს წარმოადგენდა. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის, რომ ანსამბლის წევრები მთელ საქართველოში აქტიურ შემკრებლობით საქმიანობას ეწევიან. ზოგიერთი მათგანი ქართული სიმღერა-გალობის მნიშვნელოვანი სამეცნიერო კვლევითაა დაკავებული. მალხაზ ერქვანიძე და დავით შუღლიაშვილი ტმპსც-ის თანამშრომლები არიან.

თანამედროვე ქართულ საშემსრულებლო პრაქტიკაში ტრადიციული საშემსრულებლო მანერისა და ბგერათწყობის აღდგენის პრობლემის გადაჭრის მიმართულებით ანჩისხატის ტაძრის გუნდის წამოწყება წარმატებით გააგრძელა ფოლკლორულმა ჯგუფმა „ძველი კილოები“, რომელიც 1999 წელს ჩამოყალიბდა. ამ ორი ჯგუფის მუშაობის შედეგები განსაკუთრებით თვალნათლივ კონცერტებზე ვლინდება, სადაც ვრცლადაა წარმოდგენილი ტრადიციული ქართული სიმღერა-გალობა და ინსტრუმენტული მუსიკა (ამ ბოლო დროს ცეკვაც). უნდა ითქვას, რომ კონცერტები, რომლებიც ყოველწლიურად კონსერვატორიის დიდ დარბაზში იმართება, მნიშვნელოვნად სცილდება საანგარიშო კონცერტების ფარგლებს და შემეცნებით-საგანმანათლებლო ხასიათს იძენს. მაღალი პროფესიონალიზმითა და გემოვნებით შესრულებული მუსიკის გარდა, კონცერტის ორგანიზატორები მსმენელს ქართული მუსიკის შესახებ ესაუბრებიან და ტრადიციული მუსიკის, ამ უდიდესი საგანძურის, ნამდვილ მეპატრონეებთან შეხვედრით ასაჩუქრებენ. 1999 წლიდან თბილისელებს საშუალება ჰქონდათ მოესმინათ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან (გურიიდან, იმერეთიდან, სამეგრელოდან, სვანეთიდან, კახეთიდან, ქართლიდან) ჩამოსული მომღერლებისათვის.

„ანჩისხატის ტაძრის გუნდი“ და „ძველი კილოები“ ხშირად სტუმრობენ სხვა ქვეყნებს: საბერძნეთს, რუსეთს, გერმანიას, შვეიცარიას, ავსტრიას, საფრანგეთს, ბალტიის ქვეყნებს, ინგლისს, კანადას.

2005 წლის თებერვალში გუნდს მორიგი კონცერტი აქვს დაგეგმილი კონსერვატორიის დიდ დარბაზში.

ანჩისხატის გუნდის წევრები არიან: დავით ზათიაშვილი (I ხმა, კრიმანჭული) ზაალ წერეთელი (I-II), მალხაზ ერქვანიძე (II-III, საკრავები), ვასილ ცეცხლაძე (I-II), დავით შუღლიაშვილი (III), გრიგოლ ბულია (III). თავდაპირველად ანსამბლის წევრები იყვნენ აგრეთვე ამჟამად გერმანიაში მოღვაწე კომპოზიტორი რევაზ კიკნაძე, ალექსანდრე ხახიშვილი, თეიმურაზ იმნაძე და გურამ გაგოშიძე.

ანსამბლ „ძველი კილოების“ წევრები არიან: ლევან ვეშაპიძე (I-II ხმები, კრიმანჭული, ჭიბონი), მამუკა კიკნაძე (III), დავით მეგრელიძე (I-II), გონა ბალავაძე (III), გონა გიორგაძე (I-II), ნიკოლოზ ბერიაშვილი (I).

უნდა აღინიშნოს XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ნოტებზე გადაღებული უძველესი საგალობლების ახალი ბეჭდვითი გამოცემები მალხაზ ერქვანიძის რედაქტორობით, რომელიც სწორედ ანჩისხატის ტაძრის გუნდის სამგალობლო პრაქტიკის გათვალისწინებით განხორციელდა:

1. ქართული გალობა. დამისთვეის ღოცვისა და წირვის საგალობლები. I ტ. I გამოცემა. თბილისი, 2000 წ.
2. ქართული გალობა. დამისთვეის ღოცვისა და წირვის საგალობლები. I ტ. II გამოცემა. თან ახლავს კომპაქტური დისკი. საგალობლებს ასრულებს ჯგუფი „ძველი კილოები“. თბილისი, 2001 წ.



3. ქართული გალობა. თორმეტ საუფლო და უძრავ დღესასწაულთა საგალობლები. II ტ., გამოცემას თან ახლავს კომპაქტური დისკი. საგალობლებს ასრულებს ანჩისხატის ტაძრის გუნდი. თბილისი, 2002 წ.

4. ქართული გალობა. გელათის სკოლა. მწუხრის, ცისკრის, ჟამისწირვის, თორმეტ საუფლო და უძრავ დღესასწაულთა, პასექის (აღდგომის), პანაშვიდის და ქორწინების საგალობლები. თბილისი, 2003 წ.

5. ქართული საეკლესიო და საღვინო საგალობლები, გურული კილო. გამოცემას თან ახლავს კომპაქტდისკი. საგალობლებს ასრულებს ძველი კილოები., 2003 წ.

6. ქართული გალობა. დამისთევის ლოცვისა და წირვის საგალობლები I ტომი., III გამოცემა. თან ახლავს კომპაქტდისკი საგალობლებს ასრულებს ჯგუფი „ძველი კილოები“. თბილისი 2004 წ.

„ანჩისხატის ტაძრის გუნდისა“ და „ძველი კილოების“ დისკოგრაფია:

ბრამფიორფიტები:

აღდგომის საგალობლები. ასრულებს ანჩისხატის ტაძრის გუნდი. თბილისი. 1990 წ.

აუდიოჩანაწერები:

1. საშობაო საგალობლები. ასრულებს ანჩისხატის ტაძრის გუნდი. თბილისი. 1991 წ.

გელათის სკოლის საგალობლები. ასრულებს ანჩისხატის ტაძრის გუნდი. თბილისი. 1995 წ.

შუასაუკუნეების ქართული საეკლესიო მუსიკა. ასრულებს ანჩისხატის ტაძრის გუნდი, თბილისი, 2000 წ.

პანაშვიდის საგალობლები. ასრულებს ანჩისხატის ტაძრის გუნდი, თბილისი. 2000 წ.

ქართული საეკლესიო გალობა. „მოყვდიით თაყვანის-ვსცეთ“. აუდიოკასეტა. ასრულებს ანჩისხატის ტაძრის გუნდი თბილისი, 2003 წ.

გურული საეკლესიო და საღვინო საგალობლები. აუდიოკასეტა. ასრულებს „ძველი კილოები“. თბილისი, 2003 წ.

კომპაქტდისკები:

შუასაუკუნეების ქართული საეკლესიო გალობა. ასრულებს ანჩისხატის ტაძრის გუნდი. კანადა. 1998 წ.

ქართული ხალხური სიმღერები. ასრულებს ანჩისხატის ტაძრის გუნდი. თბილისი, 1999 წ.

ხალხური და საეკლესიო მუსიკა. საკონცერტო ჩანაწერი. ასრულებენ ანჩისხატის ტაძრის გუნდი და ფოლკლორული ჯგუფი „ძველი კილოები“. თბილისი, 2001 წ.

ქართული საეკლესიო გალობა. „მოყვდიით თაყვანის-ვსცეთ“. ასრულებს ანჩისხატის ტაძრის გუნდი, თბილისი, 2003 წ.

გურული საეკლესიო და საღვინო საგალობლები. ასრულებს „ძველი კილოები“. თბილისი, 2003 წ.

ქართული ხალხური სიმღერები. საკონცერტო ჩანაწერი. ასრულებენ ანჩისხატის ტაძრის გუნდი და ფოლკლორული ჯგუფი „ძველი კილოები“. თბილისი, 2003 წ.

ქართული ხალხური სიმღერები და საეკლესიო მუსიკა. ორდისკიანი ალბომი. ასრულებენ ანჩისხატის ტაძრის გუნდი და ფოლკლორული ჯგუფი „ძველი კილოები“. ჩანაწერი გააკეთა გერმანულმა ფირმამ „რაუმ კლანგმა“. 2004 წ.

თინათინ ჟვანია

ქართული სიმღერის ოსტატები

ყოველი შესრულებისას სხვადასხვაგვარად გმღერი

ინტერვიუ ცნობილ ლოტბარ ოთარ ბერძენიშვილთან

– ბატონო ოთარ, როგორ შეაფასებდით გურული სიმღერის შესრულების დღევანდელ მდგომარეობას?

– ნამდვილი კუთხური შესრულება დღეს იშვიათია. კილოში ვერ მღერიან. თუმცა, ეს მარტო გურულ სიმღერაზე არ ითქმის. საქართველოს ყველა კუთხის სიმღერას თავისი კილო აქვს. როცა ლოტბარი ანსამბლს ან პიროვნებას სიმღერას გადასცემს, მას უნდა შეეძლოს, სიმღერას თავისი კილო შეუნარჩუნოს. მაგრამ ამას ყველა ვერ ახერხებს. მაღალი დონის მომღერლების რაოდენობაც შემცირდა. ადრე ყოველ სოფელს ჰყავდა არათუ კარგი მომღერალი, არამედ – მომღერალთა ჯგუფებიც. ისიც უნდა ითქვას, რომ არის შემორჩენილი კიდევ ხალხი, რომლებიც თავის ცოდნას თაობებს გადასცემენ. ბევრი სწავლობს ფონოჩანაწერებიდანაც.

– ამჟამად ვინ გვეულებათ გურული სიმღერის ტრადიციების მატარებელი?

– არის მომღერალთა რამოდენიმე ჯგუფი და ტრიო ოზურგეთის რაიონში, რომლებიც ცდილობენ, შეინარჩუნონ სიმღერების დიდი ტრადიციები. არის აგრეთვე მომღერალთა ჯგუფი ჩოხატაურში. სასიხარულოა, რომ ჩოხატაურის სამუსიკო სკოლაში ჩამოყალიბდა გუნდი, რომელშიც ორმოცამდე მოსწავლეა გაერთიანებული. ხელმძღვანელია ბაბუებით მომღერალთა ოჯახის შთამომავალი ლალი კორიფაძე. გასულ ზაფხულში რამოდენიმეჯერ მომიწია მათთან საკონსულტაციო შეხვედრა და დიდი იმედი მაქვს, რომ გაამართლებენ კეთილისმსურველთა იმედებს.

– მამათქვენის, განუმეორებელი მომღერლის ვლადიმერ ბერძენიშვილის ერთ-ერთი უმთავრესი ღირსება იყო იმპროვიზირების შეუდარებელი ნიჭი. როგორ ფიქრობთ, რამდენად წამყვანია გურულ სიმღერაში იმპროვიზაცია?

– რა თქმა უნდა, იმპროვიზაცია მეტად მნიშვნელოვანია, მაგრამ იგი ძლიერ იზღუდება, როდესაც კარგ მომღერალს მხარს ვერ უბამს შესაბამისად მომზადებული პარტნიორი. ვინც დაშტამპულს, დახეპირებულს მღერის, მასთან თავისუფლად ვერ იმღერებ, შეგეშინდება, რომ „ამოვარდება“ კალაპორტიდან. კარგია, თუ ასეთ მომღერალს წინასწარ მოუსმენ. თუ ამის საშუალება არ არის, მღერისას სულ ყური უნდა ადევნო.



– როგორც ვიცი, ზოგჯერ ძველი მომღერლები ახალს გამოსცდიდნენ ხოლმე – სპეციალურად ართულებდნენ სიმღერას...

– გაგვიკეთებია ასეთი რამ. შესაძლოა, ამ გამოსაცდელმა მომღერალმა გაუძლოს კიდევ, მაგრამ ისე არ ჩაჯდეს სიმღერაში, როგორც საჭიროა, ის გემო ვერ ჩაატანოს. საერთოდ, პარტნიორთა გამო, უფრო ხშირად სადა ვარიანტის მღერა მიხდება. თუმცა ერთი თვისებას მაინც გამოვარჩევ ჩემ ნამღერში – ვერასდროს ვიმეორებ ერთხელ ნამღერს.

– მაგრამ ხომ არის გურულ სიმღერაში რაღაც ქარგა, რომელიც მომღერალს თავში აქვს, რომლის საფუძველზეც იმპროვიზირებთ? ხომ არსებობს ერთგვარი „დედანი“?

– რასაკვირველია, მახსოვს ძველი ვარიანტები, თუმცა, როდესაც ვინმესთვის სწავლება მიწევს, წინასწარ დაგვჯდები, ჩამოვაცალიებ ხოლმე ამ სიმღერის მთავარ მონახაზს, ვარიანტს და იმას ვასწავლი. მე კი ყოველ შესრულებაზე სხვადასხვაგვარად ვმღერი.

– პარტნიორის ნამღერიც ხომ თავის პირობებს გიყენებთ იმპროვიზაციისათვის?

– დიახ, თუმცა პირიქითაც ხდება – ხელს ვუწყობ ხოლმე, რომ შეთანხმებული სიმღერა გამოგვივიდეს.

– ბატონო ოთარ, გურული სიმღერის ხმებიდან რომელს გამოყოფდით თავისი მნიშვნელობით?

– მე ვიტყვოდი, რომ გურული სიმღერის საყრდენი მაინც ბანია. ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ მე ძირითადად ბანს ვმღერი. საერთოდ კი, რა თქმა უნდა, სამივე ხმას განსხვავებული ფუნქცია აქვს და სიმღერა მაშინ შედგება, როდესაც სამივე ხმაში კარგი მთქმელია. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ სამივე მომღერალი ერთდროულად უნდა აკეთებდეს იმპროვიზაციას. მამაჩემს უყვარდა თქმა: სამივე ხმა ერთდროულად არ უნ-

და გაგიუდესო. აი, მაგალითად, მამაჩემის კრინით საოცრად ნამღერ „ჩვენ მშვიდობაში“ თუ „ლატარიის სიმღერაში“, სადაც იგი განსაკუთრებით „ახვევს“, იქ მე აღარ „ვეტრიალებ“. წინააღმდეგ შემთხვევაში სიმღერა ძალიან „აბარდული“ გამოვა.

– როდის გრძნობს მომღერალი, რომ პარტნიორი „ჩახვევას“ იწყებს, ან ამთავრებს?

– სხეულით გრძნობს, აგრეთვე – იმითაც, რომ ახლოსაა მუხლის დასასრული.

– კრიმანჭულზე რას გვეტყვით?

– კრიმანჭული ქარგავს სიმღერას. მამაჩემს ჰყავდა თავისივე გამოზრდილი შესანიშნავი მეკრიმანჭულეები: ვანო გუდავაძე, შოთა დოლიძე, იყენენ ქალი მეკრიმანჭულეებიც: ახლაძე. მემედოლი, ზინა ბერსენაძე. თუმცა ერთხელ, როდესაც ანზორ კავსაძე, – სახელმწიფო ანსამბლის ხელმძღვანელი – მამაჩემს შეეკითხა, როგორ უყურებთ, ბატონო ვლადიმერ, ქალის ნათქვამ კრიმანჭულსო, მამაჩემმა უპასუხა: რას ვიზამთ, თუ არ გყავთ კაცი მეკრიმანჭულე, გურულ სიმღერებს გვერდს ხომ არ ავუვლით. მაგრამ ისე, ჩვენთან, გურიაში დედალი რომ დეიყვილებს, უნდა დაიკლასო.

– გამყივანი უფრო ადვილი სამღერია?

– კი, შედარებით. კრიმანჭულს მეტი მონდომება სჭირდება. თეოფილე ლომთათიძის კრიმანჭულს რომ ვუსმენ ჩანაწერებში, ახლაც მაურიანლებს ტანში.

– ბატონო ოთარ, თუ გამოარჩევთ თქვენთვის საყვარელი სიმღერას?

– ყველა გურული სიმღერა ჩემთვის საყვარელია. მართალია, კონცერტზე სამღერად უფრო ხშირად რთულებს ვირჩევდით ხოლმე, მაგრამ ყოფილა შემთხვევები, როდესაც შესვენების მიზნით იოლი სიმღერაც შეგვისრულებია.

– გურიაში ყოველთვის იყენენ მომღერლები – გარკვეულწილად – პროფესიონალები, მაგრამ უბრალო ხალხი თუ მღეროდა სიმღერებს?

– როგორ არა, მღეროდნენ ოჯახში, სუფრაზე, შრომის დროს, თუმცა, რა თქმა უნდა, სმენას მაინც დიდი როლი ენიჭება. მაგალითად, თბილისში, ჩვენს სახლში, რომელიც ვაგზალთან მდებარეობდა, მუდამ იყვნენ სტუმრად საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული მომღერლები. დიდიდან დილამდე მათი სიმღერა მესმოდა და მეც სულმოუთქმელად ვეწაფებოდი მათ ნამღერს.

– რამდენად ესადაგება, თქვენი აზრით, გურული სიმღერა ტემპერირებულ, ფორტეპიანოს წყობას?

– ყველაფერი ვერ ჯდება ტემპერირებულ წყობაში. არის ისეთი ტონები, რომელიც არც ღოა და არც დო-დიეზი, სამივე ხმაში ხდება ასეთი რამ. მე, მაგალითად, თუ პარტნიორი მიწყოფს ხელს, ყოველთვის ვცდილობ ვიმღერო

ასეთ ნამდვილ კილოში. მამაჩემს ეუბნებოდნენ, ღამურა ხარო. მართლაც, როდესაც სიმღერისას იმ ადგილს მიაღებოდა, სადაც ამგვარი მეოთხედი ტონები იყო ასაღები, ისე ოსტატურად მოარგებდა პარტნიორს თავის ხმას, თითქოს წინასწარ ესმოდა პარტნიორის ასაღები ბგერები.

– ბატონო ოთარ, თუ გურული მარტოა და ისე წაიმღერა – თავისთვის, რომელ ხმას აირჩევს სამღერად? იმ ხმას ხომ არა, რომელსაც ჩვეულებრივ მღერის?

– უფრო დამწყობის ხმას აირჩევს. უფრო იმიტომ, რომ მასში ტექსტია. მაგალითად, საწნახელში მუშაობისას ყურძნის წურვისას კაცი უფრო დაწყობას, მეორე ხმას იმღერებდა ღიღინით. თუმცა შეიძლება წაიმღეროს პირველი ხმაც და ბანიც. განსაკუთრებით, თუ სიმღერა ამ რომელიმე ხმით იწყება.

– გურულ სიმღერასთან უფრო ახლოს რომელი კუთხის სიმღერას დააყენებდით?

– მეგრულს დავასახელებდი, აჭარული ხომ – თავისთავად, ადრე ხომ ერთი კუთხე იყო გურია და აჭარა. ასევე – იმერულსაც. არის ისეთი სიმღერებიც, რომლებიც ყველა ამ კუთხეში იმღერებოდა. მაგრამ გურული შესრულება მაინც სულ სხვაა.

– ბატონო ოთარ, თუ არის ისეთი სიმღერები, რომელიც იცით, მაგრამ ჯერ არ შეგისრულებიათ?

– როგორ არა, და – არა ერთი. გული მწყდება, რომ ზოგიერთი სიმღერა, რომელიც სცენაზე არასდროს შესრულებულა, ჯერ არ ჩამიწერია. მაგალითად, ბავშვობისას გაგონილი მაქვს და მახსოვს სიმღერა, რომელიც სრულდებოდა პატარძლის კაბის შეკერვისას. ამ დროს დედოფალს ლოცავდნენ.

– თუ მოსწრებიხართ უშუალოდ ყოფაში გურულ სიმღერებს შესრულებულს?



ვლადიმერ ბერძენიშვილი

– როგორ არა, შევსწრებივარ „კალოს ხელს-ვაეს“ – სიმინდის მოსავლის აღებისას. „ნადურს“. ეს სიმღერები, რა თქმა უნდა, მუშაობისას უფრო დიდხანს გრძელდებოდა, ვიდრე სცენაზე. მე შეგკითხვივარ მამაჩემს, როგორ უძლებს კაცი თან მღერას, თან მუშაობას-მეთქი. „ღვთიური ველი“ იქმნება ამ დროსო, – მიპასუხა, – და უფრო მეტ ძალას აძლევს მომღერალსო.

– გამართლებულად თუ მიგაჩნიათ ხალხური მუსიკის გარემიქსების დღევანდელი პრაქტიკა?

– არა, რა თქმა უნდა. ამას მე შევადარებდი მარგალიტით სავსე კალათაში ჟანგიანი ნივთების ჩაყრას. ხელოვნების დარგში ამაზე დიდი დანაშაული არ მოიძებნება. სიმღერა მეც დამიმუშავებია, მაგრამ მხოლოდ იმ კუთხისათვის დამახასიათებელი სტილით, რომელსაც ეს სიმღერა ეკუთვნის.

– გმადლობთ საინტერესო საუბრისათვის.

ესაუბრა თამაზ გაბისონია

ქიზიყ ბოლოზე

(მოხეური საფერხულო სიმღერა)

ნოტებზე გადაიღო
ოთარ კაპანაძემ

♩ = 130

I II

ქი - ზიყ ბო-ლო - ზე ბო - ლო-ზე ქი - ზიყ ბო - ლო - ზე - ო დო

ლო-ზე-ო

9

ქი-ზი-ყ ბო-ლო ზე ბო - ლო - ქი - ზიყ ბო - ლო - ზე - ო -

I II

17

თე - თრი ქა-თა - მი - მო - მი კლეხ ქი - ზიყ ბო - ლო ზე ო-დო

მი-კლეხ და ო

25

თე-თრი ქა - თა - მი მო - მი-კლეხ და ქი - ზიყ ბო - ლო ზე - ო და ვო

I

33

ქი-ზი-ყ ბო-ლო - ზე ბო - ლო-ზე ქი - ზიყ ბო - ლო ზე - ო -